ფასი
კერძო პირთათვის 10.000 მანეთი.
სახელმწიფო დაწეს. 7.000 მანეთი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მეოთხე

მოამბე

შაბათი, თებერვლის 4. 1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 27 ყოველ კვირეული ორგანო. № 27

მიიღება ხელის მოწერა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოველ კვირეულ ჟურნალ

„მ ო ა მ ბ ე“-ზე

1922 წლის პირველ იანვრიდან ჟურნალი თვიურად ეღირება პარტიულ, სახელმწიფო და პროფესიონალურ დაწესებულებათათვის თვეში 28,000 მანეთი, (ცალკე ნომერი 7,000 მ.), კერძო პირთათვის თვეში 40,000 მან. (ცალკე ნომერი 10,000 მან.).

ჟურნალში მოსათავსებლად მიიღება განცხადებანი, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, აგრეთვე კერძო პირთაგან.

ყველა მოკალაკე ვალდებულია „მოამბე“-ში მოათავსოს განცხადება პირადობის დამამტკიცებელ მოწმობის დაკარგვის შესახებ.

რედაქცია ღიაა დილის 8 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6—90.

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი № 86.

საქართ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა შრომის სასყიდლის ახალი ნორმის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ სატარიფო განაკვეთის შესახებ—1921 წლის მაისის 13-ს თარიღითა და 34 №-ით გამოცემული დეკრეტის სანაცვლოდ რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის წარმოებათა, დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ყველა მუშა-მოსამსახურენი სატარიფო განაკვეთის მხრით განიყოფებიან შემდეგ ჯგუფებად:

პირველი ჯგუფი—სამთო-მადნო მრეწველობის წარმოებათა და ქარხანა „შრომა"-ს მუშა-მოსამსახურენი.

მეორე ჯგუფი—რკინის-გზისა, წყლის ტრანსპორტისა, მეტალის მრეწველობის წარმოებათა, საფეიქრო ჭრა-კერვისა, საჭმელის ქიმიურად დამზადებისა, ტყავისა, თამბაქოსი, პოლიგრაფიულისა, საამშენებლო და ხის ნაკეთობის მრეწველობის მუშა-მოსამსახურენი, აგრეთვე ადგილობრივი ტრანსპორტისა, წყალსადენისა, ელექტრონის სადგურებისა, ტრამვაის, სასანიტარო ქარავნისა, ცეცხლის შეროგელი რაზმისა, საავადმყოფოებისა და აფთიაქებისა, სახალხო კავშირისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საწარმოო განყოფილებათა მომუშავენი.

მესამე ჯგუფი—რესპუბლიკის ყველა დანარჩენ წარმოებათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურენი.

2. შრომის სასყიდელი გაიცემა თანახმად 1-ლი პუნქტისა და საცხოვრებელი მინიმუმის ღირებულების მიხედვით საქართველოს სხვა და სხვა ადგილას შემდეგნაირად:

ქალაქისა და ადგილის სახელწოდება	პირველი ჯგუფი		მეორე ჯგუფი		მესამე ჯგუფი	
	მინიმუმი	მაქსიმუმი	მინიმუმი	მაქსიმუმი	მინიმუმი	მაქსიმუმი
ა) ქ. თფილისი (ორთაჭალით) და ტყიბული (მაღაროების ტერიტორიით)	550.000	2.200 000	500.000	2.000.000	450 000	1.800.000
ბ) ქ. ბათომი, ფოთი და ბათომის ოლქი	495.000	1.980.000	450.000	1.800.000	405.000	1.620.000
გ) ქ. ქუთაისი, ბორჯომი, ჭიათურა, დუშეთისა, ლეჩხუმისა, რაჭისა და შორაპნის მაზრები და სამხრეთ ოსეთი.	440.000	1.760.000	400.000	1.600 000	360.000	1.440.000
დ) ბორჩალოს, გორის, ზუგდიდის, ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, თელავის და თფილისის მაზრები	385.000	1.540.000	350.000	1.400.000	315.000	1.260.000
ე) ახალქალაქისა, ახალციხისა, სიღნაღისა და თიანეთის მაზრები	330.000	1.320.000	300.000	1.200 000	270.000	1.080.000

შენიშვნა 1: სატარიფო ქსელის 17 კატეგორია უნდა შეიმუშაოს და განსაზღვროს საქართველოს პროფესიონალურ - კავშირთა შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებამ; ამასთანავე მუშათა ქსელისათვის დაცულ უნდა იქნეს შეფარდება 1: 2, ხოლო საერთო ქსელისათვის 1-სა და 17 კატეგორიებს შორის)—1: 4.

შენიშვნა 2: დანაწილებას სატარიფო კატეგორიებად აწარმოებს პროფესიონალურ კავშირთა შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებანი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილების მიერ გამოცემულ ცალკე წარმოებათა სატარიფო კრებულებისა, დებულებათა და ინსტრუქციების თანახმად.

შენიშვნა 3: სატარიფო მინიმუმისა და მაქსიმუმის შეცვლა საქართველოს რომელიმე ცალკე ადგილებისათვის შეუძლიან საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებას შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად, პროფესიონალურ კავშირთა სამაზრო ბიუროს შემადგენლობით.

3. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებას, სახელმწიფო-საფონდო კომისიასთან ერთად დაევალება ყოველ სამ თვეში ერთხელ დააწესოს საცხოვრებელი მინიმუმის ღირებულება და შემჩნეულ ცვლილებათა მიხედვით მოახდინოს სატარიფო განაკვეთის გადასინჯვა კატეგორიებად.

4. სამუშაო ხელფასი გაიცემა შემდეგნაირად: სურსათად 40%, ნივთიერ კმაყოფად 10%, ბინისათვის 5%, გათბობა განათებისათვის—10% და ფულის ნიშნებით—35%.

შენიშვნა: საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებას სახელმწიფო-საფონდო კომისიასთან ერთად უფლება ეძლევა შესცვალოს ხოლმე შრომის სასყიდლის აღნიშნული შეფარდება ნატურით და ფულით გადახდისა, როგორც ცალკე კატეგორიებისა, ისე მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფებისათვის, ხოლო ისე, რომ სამუშაო ხელფასის საერთო ჯამი არ იქნეს შემცირებული.

5. საკონცესიო, საჯარო და კერძო წარმოებებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში შრომა განრიგებულ უნდა იქნეს კოლექტიურ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც დასდებს სათანადო პროფესიონალური კავშირი წარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციის მეპატრონესა ან ადმინისტრაციასთან.

კოლექტიური ხელშეკრულობის დადება სწარმოებს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილების ხელმძღვანელობით, რესპუბლიკაში არსებულ საამისო კანონმდებელთა თანახმად.

6. ამა დეკრეტის გამოცემისთანავე უქმდება ყოველგვარი სპეციალური (სპეციალისტებისთვის) განაკვეთი, რომელიც შემოღებულია საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლ. ივლისის 2 დადგენილებისამებრ.

7. აკრძალულია ყოველგვარი შეთავსება ორი ან მეტი თანამდებობისა და აგრეთვე ზედმეტი მუშაობა, რომელიც პრაკტიკად იყო მიღებული საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგების განყოფილების მე-3 და მე-9 №-ის დადგენილებით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოების პირობების გამო ზედმეტი მუშაობის მოსპობა შეუძლებელია (მაგ. წყალსადენზე, ელექტრონის სადგურზე და სხვ.) პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებას უფლება ეძლევა ცირკულიარულად აცნობოს სათანადო საწარმოო დაწესებულებას ასეთი მუშაობის ნორმა და წესი.

8. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის გინყოფილებას უფლება ეძლევა გამოსცეს დადგენილებანი და შეიმუშავოს ინსტრუქცია ამა დეკრეტის განვითარებისა და აღსრულებისათვის.

9. დღიდან ამა დეკრეტის გამოქვეყნებისა ხელისუფლების არცერთ ორგანოს უფლება არა აქვს გამოსცეს დადგენილება სამუშაო ხელფასის რაოდენობის მოწესრიგების შესახებ, უკეთუ იგი ეწინააღმდეგება ამა დეკრეტს.

10. ამა დეკრეტის დარღვევისათვის დამნაშავენი მიიცემიან რევოლიუციონური ტრიბუნალის სამართალში.

შრომის სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოთან ერთად, და მათ ადგილობრივ ორგანოებს დაევალება მეთვალყურეობა ამა დეკრეტის აღსრულებისათვის.

11. მუშათა და გლეხთა ინსპექცია თვალყურს ადევნებს ამა დეკრეტის შესრულებას და იმ შემთხვევაში, თუ იგი დარღვეული იქნება,—დაადებს აღკრძალვას ჯამაგირის გაცემას, ხოლო დამნაშავეთ პასუხისგებაში მისცემს.

12. დეკრეტი ესე ძალაში შედის 1922 წლის იანვრის 1-დან.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯ.
მოადგ. **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე
ა. მიქაძე.

საქ. პროფ. კავშ. საბჭ. შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილების გამგე
ს. ჯუღელი.

რევოლ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. იანვრის 3.
ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 80.

**საქართველოს სოც. საბჭო

ბისა და სარწყავ არხებისა, დამზადება და გამოზიდვა სათბობი და ხე-ტყის მასალისა და სხვ.) რაც მოითხოვს აუარებელ მუშა-ხელისა და ტვირთ-ზიდვის საშუალებას, რომლის გაწვევა დღემდე ხდებოდა შრომისა და ტვირთ-ზიდვის ბეგარით, და ხელს უშლიდა სასოფლო მეურნეობის ნორმალურ განვითარებასა და წარმატებას,—საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. შრომისა და ტვირთ-ზიდვის ბეგარა, რომელიც თავისი თვისებით შეუძლებლად ჰხდის სახელმწიფოსათვის სავალდებულო სამუშაოს თანასწორ განაწილებას რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთა შორის, განხორციელებულ იქნეს შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის საფუძველზე.

2. შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკი დაედოს ყველა შრომისუნარიან მამა-კაცს 18-დან 50 წლამდე და ოთხფეს მუშა-საქონელს (ხარი, კამეჩი, ცხენი, ჯორი და სხვ.) ყველა გადასაზიდ საშულებით (ურემი, ფურგუნი, ეტლი და სხვ.).

3. შრომის და ტვირთ-ზიდვის ხარკის ნორმად მთელ რესპუბლიკაში დაწესდეს 6 სამუშაო დღე წელიწადში.

შენიშვნა: იმ პირს, რომელიც ტვირთ-ზიდვის საშუალებას ახლავს, ტვირთ-ზიდვის სამუშაო დღეების რიცხვი ჩაეთვლები ხარკის შესრულების ნორმაში.

4. შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკისათვის დაწესებული ნორმა (მე-3-ე პუნქტის თანახმად) სამუშაოს თვითეულ კატეგორიის ფარგლებში შეფარდებული უნდა იქნეს სახელმწიფოსათვის შესასრულებელ სანაჭრო და საკორდო სამუშაოს განსაზღვრულ რაოდენობასთან და გამოანგარიშებული სამუშაო დღეების სათანადო გადაკვეთილ ნორმასთან შეფარდებით: ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შრომის არსებული პრობები.

შენიშვნა: სამუშაო დღეების გადაკვეთილ ნორმასთან შეფარდებას (საჟენი, ვერსტი, ფუთი, დამზადებისა და გადატანის ერთეული და სხვ.) აწესებს შრომის სახალხო კომისარიატი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და საქართ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად.

5. შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის წესით შესრულებულ სამუშაოსათვის სასყიდელი არავის მიეცემა, გარდა იმ ადგილების მცხოვრებთა, სადაც თვალ საჩინო მოუსავლობაა: ასეთ ადგილებში სასყიდელი უნდა მისცეს იმ სამეურნეო ორგანომ, რომელიც სამუშაოს აწარმოებს, ხოლო სასყიდელის რაოდენობას ფულით, სურსათით და ფურაჟით თვითეულ ცალკე შემთხვევაში აწესებს უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

6. ფულის რაოდენობას, რომელიც შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის ნაცვლად უნდა გადაიხადოს მცოვრებთა არა მიწათმოქმედმა კატეგორიამ (შინა-მრეწველი, ხელოსანი, კერძო მწარმოებელი და სხვ.) აწესებს შრომის სახალხო კომისარიატი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად.

7. შრომის და ტვირთ-ზიდვის ხარკისაგან განთავისუფლება სწარმოებს შრომის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული დადგენილების თანახმად.

8. უკეთუ მცხოვრებთა მიერ შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის შესრულების შემდეგ სამეურნეო ორგანოს კვლავ დასჭირდება მუშა-ხელის ან ტვირთ-ზიდვის საშვალება, ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს, მუშა-ხელისა და ტვირთ-ზიდვის საშუალებათა მხოლოდ ნებაყოფლობითი დაქირავებით.

9, სტიქიურ და საზოგადოებრივ უბედურების რაიმე შემთხვევის (ცეცხლი, თოვლი, ზვავი, წყალ-დიდობა და სხვა.) ლიკვიდაციისათვის შრომისა და ტვირთ-ზიდვის საშვალებათა გაწვევა სწარმოებს შრომის ბეგარის წესით შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის ნორმის გარეშე.

10. შრომის სახალხო კომისარიატს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ერთად დაევალება შეიმუშაოს ინსტრუქცია მცხოვრებთა მიერ შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის შესრულების კონტროლისა და მეთვალყურეობისათვის; ხოლო თვით კონტროლი და მეთვალყურეობა ხარკის შესრულებისა და აგრეთვე გაწვეულ მუშა-ხელისა და ტვირთ ზიდვის საშუალებათა სამეურნეო ორგანოს მიერ რაციონალური გამოყენებისა, დაეკისრება შრომის სახალხო კომისარიატს.

11. ის პირი, რომელიც შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის შესრულებას განერიდება, ან ხელს შეუწყობს ასეთ განრიდებას, ჩაითვლება შრომის დეზერტირად და პასუხისმგებელია საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ საყოველთაო შრომის ბეგარის შესახებ 83 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-5-ე და მე-6-ე მუხლების თანახმად.

12. ზემოაღნიშნულ საქმის განხორციელება დაევალება შრომის სახალხო კომისარიატსა და მის ადგილობრივ ორგანოებს.

13. შრომის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს ამა დეკრეტის განმარტებისა და განვითარებისათვის გამოსცეს დადგენილებანი და ინსტრუქციები.

14. დეკრეტი ესე ძალაში შედის 1922 წლის თებერვლის 1-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლ. კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

შრომის სახალხო კომისარის მოადგ. **ა. მიქაძე.**

რევოლ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

192ᲩᲐ წ. იანვარის 25.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 120

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

დეპოზიტების შესახებ.

საალრიცხვო წესების შესახებ 1921 წლის აგვისტოს 16 თარიღითა და 66 №-ით გამოცემული დეკრეტის დასამატებლად—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დაეკისროს ხაზინებს სადეპოზიტო თანხების გაცემა, მიღება და ანგარიშის წარმოება ფინანსთა სახალხო კომისარის მიერ გამოცემულ განკარგულებისა და ინსტრუქციებში აღნიშნულ წესით.

2. დეპოზიტად ჩაითვლება:

ა) საწინდარი, ბე და სხვა ყოველგვარი თანხა, რომელიც ხაზინაში შეაქვთ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათ და კერძო პირთ საფინანსო განმკარგულებელ მმართველობის ანგარიშზე ჩასარიცხად.

ბ) ქონების დაცვისათვის ზომების მისაღებად სათანადო ხაზინაში შეტანილი ფულის თანხები იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეები გამოცხადდებიან და გამორკვეული იქნება მათი უფლება და

გ) გამოძიებისა და სამართალში მყოფ პირთაგან ჩამორთმეული ფულის თანხები.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული თანხების გარდა, ყველა სხვა დანარჩენი თანხა უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფო შემოსავლის ნაღდ ფონდში.

4. დადგენილება ეს ძალაშ ̇ შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის

თავმჯდ. მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. სვანიძე.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 28.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 121

საქ. სოც. საბჭ. კომიტეტისა
შრომის უნარის მქონე მცხოვრებთა სასწრაფო აღნუსხვის შესახებ.

ადგილობრივ, სოფლის მცხოვრებთა შორის, შრომის და შარაგზით ტვირთზიდვის ბეგარის მოსაწესრიგებლად, გლეხობისათვის ამ ბეგარით დაკისრებული მოვალეობის შესამსუბუქებლად, ბეგარის განხორციელების დროს უფლების დარღვევისა და ბოროტმოქმედების აღსაკვეთად, აგრეთვე ამ ბეგარის თანასწორი განაწილებისათვის ცალკე მეურნეობათა შორის და შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის საშუალებათა ბეგარისთვის მტკიცე ნორმების შესამუშავებლად, საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს, ერთი თვის ვადაზე, დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა,—მოახდინოს მთლად რესპუბლიკაში შრომის უნარის მქონე სოფლის მცხოვრებთა და შარაგზით ტვირთზიდვის საშუალებათა აღნუსხვა.

2. დაევალოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სამაზრო და ადგილობრივ (სარაიონო და სასოფლო) რევოლიუციონურ კომიტეტს—გაუწიონ ყოველგვარი დახმარება შრომის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს აღნუსხვის საქმის განხორციელებაში და დაუთმონ მას თავის განკარგულებაში საჭირო ტექნიკური მომუშავენი.

3. უფლება ეძლევა შრომის სახალხო კომისარიატს ამა დადგენილების განვითარებისა და დასამატებლად გამოსცეს ხოლმე ბრძანება, ინსტრუქცია და ცირკულიარი.

4. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტ. თავმ.
მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახ. კომისრის მოადგ. **ა. მიქაძე.**

რევკომის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 28.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 122

საქ. სოც. საბჭ. რესპ. კომიტეტისა

სარაიონო რევოლიუციონური კომიტეტების გაუქმების შესახებ.

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა სარაიონო რევოლიუციონური კომიტეტი (დეკრეტი № 23, მუხ. II).

2. სარაიონო რევოლიუციონური კომიტეტი, რომელიც იმავე დროს სათემო რევოლიუციონური კომიტეტის ფუნქციებს ასრულებს, უნდა დარჩეს სათემო რევოლიუციონურ კომიტეტად.

3. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომ.
თავმჯ. მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი
ბ. კვირკელია.

რევ. კომ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ, იანვრის 1.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 123.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევ. კომიტეტისა საალმშენებლო სამუშაოთა წარმოების წესის შესახებ.

რათა გაერთიანებულ იქნეს მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის აგებ-აშენების საქმე —საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ყოველი ახალი საალმშენებლო სამუშაო და კაპიტალური რემონტი (გარდა წვრილი მიმდინარე რემონტისა) სწარმოებს სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტის ორგანოების მიერ, ხოლო სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტის ცალკე უწყებასა და დაწესებულებასთან შეთანხმებით, ესა თუ ის სამუშაო შეიძლება სისრულეში იქნეს მოყვანილი უკანასკნელთა მიერ სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტის ორგანოების კონტროლით.

შენიშვნა: კომუნალურ მეურნეობას უფლება ეძლევა იყოლიოს საჭირო შტატი კერძო შენობათა და ქალაქის ნაგებობათა სანიტარულ ტეხნიკური მეთყალყურეობისათვის.

2. აშენება სამხედრო უწყებისათვის ახალ ნაგებობისა და შენობისა, რომელსაც არა აქვს თავდაცვის ხასიათი, სწარმოებს სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტის მიერ, თანახმად ამა დადგენილების 1-ლი მუხლისა.

3. ყოველი სახალხო კომისარიატი და კომუნალური მეურნეობა ვალდებულია წარუდგინოს სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტს ყოველ მიმდინარე წლის არა უგვიანეს მაისის 1-სა და დეკემბრის 1-სა, თავისი საალმშენებლო განზრახულება რესპუბლიკის ერთიან საალმშენებლო გეგმაში შესატანად, რომელსაც სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტი განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს; ამასთანავე დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენელნი სათათბირო ხმით მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტში, სათანადო უწყების საალმშენებლო გეგმის განხილვის დროს.

სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ გეგმებს რესპუბლიკის ყველა საალმშენებლო რესურსების შეფარდებით, რისთვისაც მომარაგების საბჭომ და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სათანადო განყოფილებამ 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადისათვის უნდა შეუთანხმონ სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტს თავიანთი განზრახულებანი მასალების წარმოებისა და განაწილების შესახებ წლის მომავალი სეზონისათვის.

5. ფინანსთა სახალხო კომისარს წინადადება ეძლევა,—ცენტრალურ დაწესებულებათა აღრიცხვის განხილვის დროს, ამა აღრიცხვებით გამოთხოვილი კრედიტები ახალი საალმშენებლო მუშაობისა და კაპიტალური რემონტისათვის მიიღოს — განსახილველად მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ხელთ ექნება სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტის დასკვნა ამა კრედიტების შესახებ.

6. მუშათა და გლეხთა ინსპექცია თვალყურს ადევნებს, რათა არ გაეხსნას კრედიტი ახალი მუშაობისა და კაპიტალური რემონტისათვის იმ დაწესებულებათ, რომელთაც ამისათვის არა აქვთ ნებართვა სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტისაგან; ამასთანავე მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა გააძლიეროს მეთვალყურეობა, რათა მუშაობა სწარმოებდეს უსათუოდ თანახმად კრედიტებისა, რომელიც გაასიგნებულია მხოლოდ ამა საჭიროებისათვის.

7) რათა თანასწორად იხარჯებოდეს ფულის საშუალებანი, საალმშენებლო მასალები და მუშათა ხელი, სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტთან უნდა მოეწყოს საგეგმო კომისია, რომელიც განიხილავს და დაამტკიცებს პროექტებს მათი განხორციელების რიგის მიხედვით, გაანაწილებს ასეთ სამუშაოებს პირველი რიგის სახელმწიფო საგეგმო სამუშაოსა და არა საგეგმო სახელმწიფო სამუშაოზე.

8. წინადადება ეძლევა ყოველ სახალხო კომისარიატს და სახელმწიფო დაწესებულებას, არა უგვიანეს ერთი თვისა, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, რეგისტრაცია გაუკეთოს ყველა საალმშენებლო აპარატებს მათი შტატებით, მასალებით, ინვენტარით და მოწყობილობით, სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტში და მის ორგანოებში, —ადგილობრივად—ეკონომიურ განყოფილებაში, —გარდა ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების რკინის-გზებისა; ამასთანავე სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტს უფლება ეძლევა შეამციროს, გააერთიანოს ან სრულიად გააუქ[illegible] საალმშენებლო აპარატები, უკეთუ სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტი ამას საჭიროდ დაინახავს.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც საბჭ. რესპუბ. რევ. კომიტეტის
თავმჯ. მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
თავმჯდ. **მ. ტოროშელიძე,**

რევოლ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე**

1921 წ. დეკემბრის 31.
ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 124

საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოსა, აზერბაიჯანისა, და სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების შორის—საგარეო ვაჭრობის გაერთიანების შესახებ 1921 წ. ივნისის 2-სა და დეკემბრის 8-ს დადებული შეთანხმების განსავითარებლათ.

1. საერთო დებულება.

1. საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული სახალხო კომისარიატი არის ერთად-ერთი ორგანო, რომელიც აწარმოებს საგაჭრო ურთიერთობას უცხო ბაზართან, როგორც საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის საეკსპორტო რესურსების გასაყიდათ, ისე მისთვის საჭირო საქონლის შესაძენად.

2. საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის არცერთ სახელმწიფოებრივ დაწესებულებას არა აქვს უფლება დასდოს რაიმე საგაჭრო ხელშეკრულობა ამა თუ იმ ფირმასთან თვინიერ საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ სახალხო კომისარიატისა, უკეთუ ხელშეკრულობა და შეთანხმება პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება საქონლის შემოზიდვას ან გაზიდვას საქართველოს ფარგლებიდან არა საბჭოთა სახელმწიფოებში.

3. ექსპორტისა და იმპორტის საკითხებში მიზანშეწონილი გეგმის შეტანისათვის ეკონომიურ საბჭოსთან დაარსდება განსაკუთრებული კომისია, რომელიც საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული სახალხო კომისარიატისა და მისი აპარატის მონაწილეობით შეიმუშავებს საექსპორტო-საიმპორტო გეგმას ნაღდი საექსპორტო და სავალიუტო ფონდის ღირებულების ფარგლებში ცალკე კომისარიატების, და დაწესებულების განცხადების მიხედვით.

შემუშავებული გეგმა გადაეცემა საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება ეძლევა შეიტანოს ამ გეგმაში აუცილებელი შესწორებანი, პირობის დამდები მეგობარი რესპუბლიკების ეკონომიური ინტერესების შესათანხმებლად, რაც უნდა ეცნობოს თვითეულ რესპუბლიკას.

4. ყოველგვარ ურთიერთობას, რომელიც შეეხება საიმპორტო-საექსპორტო გეგმის განხორციელებას საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული სახალხო კომისარიატის დაწესებულებათა და კომისარიატებთან,—აწარმოებს ეკონომიური საბჭოს მეშვეობით, რაც უნდა აცნობოს დაინტერესებულ დაწესებულებას. თვითეულ სხვა შემთხვევაში საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული სახალხო კომისარიატი მიმართავს ყველა დაწესებულებას, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის გარდა, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მეშვეობით.

5. ცალკე კომისარიატსა და დაწესებულებას შეუძლიან მისცეს საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ სახალხო კომისარიატს რაიმე დავალება ეკონომიური საბჭოს მეშვეობით, მიღებული საიმპორტო-საექსპორტო გეგმის ფარგლების გარეშეც, ხოლო დავალებული საქმის ხარჯი უნდა გაისტუმროს თვით დაწესებულებამ და კომისარიატმა.

6. საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ კომისარიატს აქვს ადგილობრივი განყოფილება ყველგან, სადაც იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს და თვითეული განყოფილება უშუალოდ მასვე ექვემდებარება.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების კავშირი საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ სახალხო კომისარიატის განყოფილებებთან განხორციელდება მათი მოქმედების საერთო კონტროლის სახით, ხოლო ადგილობრივი ორგანოების ადმინისტრატიული ჩარევა საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული სახალხო კომისარიატის მოქმედებაში და კოლეგიის დადგენილების შეჩერება არ შეიძლება.

2. რესპუბლიკის საექსპორტო ფონდის შესახებ.

7. სახელმწიფო საექსპორტო ყველა ნაღდი ფონდებისა, სავალიუტო საქონლისა და აგრეთვე საექსპორტო ნედლეულობისათვის დადებული ნატურალური ხარკის მთელი შემოსავლიდან არსდება რესპუბლიკის საექსპორტო ფონდი, რომელიც ჩაირიცხება საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული სახალხო კომისარიატის სახელზე.

8. საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ სახალხო კომისარიატს უფლება აქვს თვალყური ადევნოს საექსპორტო ფონდის დამზადების მსვლელობას და ამ მუშაობაში უშუალო კავშირი იქონიოს იმ ორგანოსთან, რომელიც აწარმოებს ფონდის დამზადებას.

9. რესპუბლიკის საიმპორტო - საექსპორტო პლანის შედგენამდე საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ კომისარიატს უფლება აქვს მოახდინოს საექსპორტო ფონდის რეალიზაცია მიღებული ფულის საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახელზე ჩარიცხვით.

3. საბაჟოს შესახებ.

10. საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ სახალხო კომისარიატს აქვს განსაკუთრებული უფლება რესპუბლიკის საბაჟო პოლიტიკის საერთო ხელმძღვანელობისა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბაჟო კონფერენციის დადგენილებათა მიხედვით.

11. საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული სახალხო კომისარიატი თვალყურს ადევნებს საბაჟო კონფერენციის დადგენილებათა განხორციელებას და აგრეთვე მის უფლებას შეადგენს ამ დადგენილებათა განმარტება.

12. ნებართვის გაცემა საბაჟო წესებით გათვალისწინებული აქონლისა და ვალიუტის შე-

მოზიდვისა პირობის დამდებ რესპუბლიკათა ფარგლებში და გაზიდვისა რესპუბლიკის ფარგლებიდან შეუძლიან მხოლოდ საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ სახალხო კომისარიატს.

13. რესპუბლიკის საბჭოს სამმართველო ადმინისტრატიულად ექვემდებარება ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. რევ. კომიტეტის თავმჯ. მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

რევოლ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 31.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 125

საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლიუც. კომიტეტისა

სახალხო სასამართლოს დებულების დამატებისა მოწმეთა გამოუცხადებლობისათვის დაჯარიმების შესახებ.

1921 წლის ივლისის 30-ს თარიღით გამოცემული სახალხო სასამართლოს დებულების დამატებად—საქართველოს სოც. საბჭ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მუხ. 27[1]. უკეთუ მოწმე დანიშნულ ვადაზე არ გამოცხადდა და შესაწყნარებელი განმარტება არ წარმოადგინა, სასამართლოს დადგენილებით გარდახდება ჯარიმა 10.000 მანეთიდან 100.000 მანეთამდე: ხოლო უკეთუ ხელმეორედ არ გამოცხადდა არაპატივსადები მიზეზის გამო, ჯარიმა უნდა გადახდეს ერთი ორად.

მუხ. 27[2]. უკეთუ სხდომა გადაიდო მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო, სასამართლო, აჯარიმებს რა არაპატივსადებ მიზეზით გამოუცხადებელთ, ახდენს განკარგულებას განმეორებით დაბარებულ იქნენ ან მილიციის მეშვეობით იქნენ მოყვანილნი ის მოწმენი, რომელთა პირადი დაკითხვა აუცილებლად არის ცნობილი. უკეთუ მოწმეები ხელმეორედ არ გამოცხადნენ, სასამართლო, ამ მოწმეთა დაჯარიმების გარდა, ვალდებულია მოახდინოს განკარგულება მათი მოყვანის შესახებ.

მუხ. 27[3]. მოწმეთა გამოუცხადებლობის პატივსადებ მიზეზად ჩაითვლება: თავისუფლების აღკვეთა, ავადმყოფობა, მშობლების, ქმრის, ცოლის თუ შვილების სიკვდილი ან მძიმე ავადმყოფობა, რომელიც სიკვდილს მათ უქადის, აგრეთვე შორს ყოფნა გამოსაცხადებელ ადგილიდან, მიმოსვლის შეწყვეტა ან სიძნელე, ან და უწყების ჩაუბარებლობა ან უდროოდ ჩაბარება და სხვა, რასაც სასამართლო იცნობს მოწმეთა გამოცხადების დამაბრკოლებელ გარემოებად:

შენიშვნა: 1: სასამართლოს დადგენილება, რომლითაც მოწმის გამოუცხადებლობის მიზეზი შეუწყნარებლად იქნა ცნობილი არ განსაჩივრდება.

შენიშვნა: 2. 27[1]—27[3] მუხლების მოქმედება ვრცელდება ექსპერტებზედაც.

მუხ. 27[4]. სასამართლოში გამოცხადებლობისათვის მოწმეს ეძლევა გასამრჯელო, როგორც სახალხო სასამართლოს დებულების მე-19 მუხლით განსაზღვრულ წესით.

შენიშვნა: ექსპერტს გასამრჯელო ეძლევა სამოქალაქო საქმეთა სასამართლო ხარჯების დებულებაში გათვალისწინებული წესით.

მუხ. 27[5]. მოწმეთა და ექსპერტების მიმართ სახალხო გამომძიებელნი ხელმძღვანელობენ ამა დებულების 27[1]—27[4] მუხლებში აღნიშნულ წესს. ამასთანავე მოწმის თუ ექსპერტის გამოუცხადებლობის მიზეზის შეუწყნარებლობა სახალხო გამომძიებლის მიერ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სახალხო სასამართლოში საზოგადო წესით.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდ. მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

იუსტიციის სახ. კომისრის მოადგილე **ბროდსკი.**

რევოლ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., დეკემბრის 31.
ქ. ტფილისი,—სასახლე.

დადგენილება № 126

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

სახალხო სასამართლოს დებულების დამატებისა—კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ.

იმ მიზნით, რათა მოდავე მხარეთ უფლება მიეცეთ ითხოვონ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. სახალხო სასამართლოს დებულება შევსებულ იქნეს შემდეგი მუხლებით:

მუხ. 122[1]. ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ თხოვნის შეტანა შეიძლება ხუთის წლის განმავლობაში,—დღიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა,—იმ შემთხვევაში, უკეთუ აღმოჩნდება: სიყალბე აქტებისა იმ საქმეში, რომლის შესახებაც შესდგა გადაწყვეტილება, სიცრუე მოწმეთა თუ მცოდნე პირთა ჩვენებისა ან და დანაშაულებრივი მოქმედება მოდავე მხარისა ან მისი წარმომადგენლისა და, საზოგადოდ, იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება ისეთი ახალი,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდავე მხარისათვის უცნობი,—გარემოება, რასაც საქმის გადაწყვეტაზე შეუძლიან იქონიოს არსებითი გავლენა.

მუხ. 122². გადასინჯვის შესახებ თხოვნის შეტანისათვის დადებულია ორი კვირის ვადა იმ დღიდან, როცა მთხოვნელმა შეიტყო ახალი გარემოება, რომელიც საბუთს იძლევა გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ თხოვნის აღძვრისათვის, ან იმ დღიდან, როცა სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა, ხოლო თუ სისხლის სამართლის წესით გასარჩევი საქმე შეჩერებულია ან მოსპობილი, აღნიშნული ვადა ითვლება ამ საქმის წარმოების შეჩერების ან მოსპობის დღიდან, და უკეთუ საქმის აღძვრა შეუძლებელი იყო,—დღიდან დანაშაულის აღმოჩენისა.

მუხ. 122³. თხოვნა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ განიხილება სახალხო მოსამართლეთა საბჭოს მიერ, სადაც ეს თხოვნა უნდა შეტანილ იქნეს ან პირდაპირ ან და იმ სახალხო სასამართლოს მეშვეობით, რომელსაც გადაწყვეტილება გამოუტანია.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის
თავმჯდ. მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

იუსტიციის სახ. კომისრის
მოადგილე **ბროდსკი.**

რევოლიუციონური კომიტეტის
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., დეკემბრის 31.
ქ. ტფილისი,—სასახლე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

ცირკულიარულად

ყველა სამაზრო რევკომს და

მილიციის მთავარ სამართველოს.

თანახმად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 24 დეკემბრის დადგენილებისა „მოამბე“ № 25 ამა 1922 წლის 1-ლი იანვრიდან ყოველი მოქალაქე ვალდებულია ჟურნალ „მოამბე“-ში როგორც მთავრობის ოფიციალურ ორგანოში მოთავსოს ორჯერ განცხადება ყოველგვარი დოკუმენტების დაკარგვის შესახებ. ასეთი განცხადების „მოამბეში“ მოთავსების შემდეგ მოქალაქეს უფლება ეძლევა გაუქმებულად ჩასთვლოს დაკარგული და მის მაგიერ მიიღოს ახალი დოკუმენტი.

განმცხადებელი მოვალეა მილიციის კანცელარიაში ახალი დოკუმენტის მისაღებად წარდგენილ თხოვნას თან დაურთოს „მოამბე“-ს ის №-რი, სადაც მოთავსებული იქნება მისი განცხადება ხსენებული დოკუმენტის დაკარგვის შესახებ.

კომისარიატი წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ღონისძიება ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად.

შინაგან საქ. სახალხო კომისარი
ბ. კვირკელია.

საინსტრუქტორო-საინფორმაციო
განყოფილების გამგე. **დ. ლამბაშიძე.**

არა-ოფიციალური განყოფილება

საქართველოს რევოლიუციონური სრიგუალი და მისი ფუნქციები.

იმ უსწორო და უმძიმეს რევოლიუციონურ ბრძოლაში, რომელიც განიცადა რუსეთის მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ თავისი ხელისუფლების განმტკიცების გზაზე, მიინც ადგილი არა ჰქონია იმ აწეწილობასა და უორგანიზაციობას, როგორც ამას ხშირად უსაყვედურებს ხოლმე ჩვენი ბურჟუაზია მუშათა რევოლიუციას. მიუხედავად მკაცრი სამოქალაქო ომისა, რომელშიაც მოექცა გაფთრებული ბურჟუაზია, რომელმაც გადასწყვიტა პროლეტარიატისა და რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, მიუხედავად ამისა პროლეტარიატის ამ რევოლიუციონურმა ბრძოლამ მაინც მიიღო ფორმალური და იურიდიული გამოხატულება მუშათა ლა გლეხთა რევოლიუციონური ინსტიტუტების სახით. ამ ინსტიტუტების მოვალეობას შეადგენდა მტკიცე ორგანიზაციის შექმნა და მთელი ამ ტიტანიური ბრძოლისათვის კანონიერი მიმართულების მიცემა.

ოქტომბრის გადატრიალების პირველ ხანებშივე საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა რა წინანდელი სამოსამართლო ორგანოები, სასწრაფოდ შემოიღო თავის ახალი, პროლეტარული სასამართლო დაწესებულებანი. ზარბაზნების,— ქუხილისა და გამძაფრებულ სამოქალაქო ომის სმაურში წარმოიშვა პროლეტარული რესპუბლიკის სამოსამართ-

ლო—იურიდიული ინსტიტუტი. პროლეტარიულმა ხელისუფლებამ გააბათილა ძველი, ბურჟუაზიული სამოსამართლო წესები, რომლებიც საუკუნოებით იყო შექმნილი ამავე ბურჟუაზიისა და მეფის ბატონობის გასამტკიცებლად. ამასთან ერთად მან უარჰყო ძველი უფლებანიც, რომლებმაც ასევე საუკუნოებით შეჰქმნეს ბურჟუაზიის მიერ დაქირავებულმა საუკეთესო ვექილებმა, რომელთა მეთოდების წყალობითაც ბურჟუაზიული სამყარო გადამიჯნულია მშრომელთა სამყაროსგან და იგი არის მშრომელი კაცობრიობის მთელი ზინათისა.

ამის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ შეჰქმნა ახალი სამოსამართლო იურიდიული აპარატი, რომლის სქემაშიაც თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნისთ რევოლიუციონურ ტრიბუნალებს, როგორც რევოლიუციონური პროლეტარიატის სამოქალაქო სამართლის ხელისუფლების გამომხატველთ. რევოლიუციონური ტრიბუნალებს თავიანთ დაარსების დღიდანვე ბრძოლის ატმოსფერაში უხდებოდათ მუშაობა, მათ არა ჰქონდათ ის უამრავი პრაქტიკა, როგორიც ძველ სასამართლოებს, მისი პირადი პერსონალი შედგენილი იყო გამოუცდელ მომუშაველთაგან, იგი თავის მოღვაწეობას ხელმძღვანელობდა მხოლოდ დროებითი დებულებით. მიუხედავად ასეთს პირობებში მუშაობისა, ტრიბუნალებმა ძლიერ დიდი საქმე გააკეთეს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა რესპუბლიკის სამოსამართლო იურიდიულ აღმშენებლობისა და უფლებრივი ნორმების ჩამოყალიბების დარგში, და შეიძინა ახალი გამოცდილება საქმეთა გარჩევის მხრივ. მუშათა და გლეხთა ხელისუფლებაა, მიუხედავად იმისა, რომ უფლებრივი აღმშენებლობის გზაზე ანდა-ალებითა და ხშირად უნდობლადაც მიდიოდა, ამინც მიაღწია იმას, რომ რევოლიუციონური ტრიბუნალები, როგორც უფლებრივი ინსტიტუტები, სრულის გარკვევით ჩამოყალიბდენენ და თვალსაჩინო ადგილი დაიჭირეს საბჭოთა მთავრობის უფლებრივი აღმშენებლობის საქმეში.

მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების სამოსამართლო—იურიდიული ხელისუფლების სტრუქტურა—ბუნებრივად ანალოგიური უნდა იყოს საბჭოთა რუსეთის იურიდიულ სტრუქტურასთან შეფარდებით.

საბჭოთა საქართველოს რევოლიუციონური ტრიბუნალის სტრუქტურა ამ მხრივ წარმოადგენს რუსეთის ტრიბუნალის სტრუქტურის ერთ ნატეხს, რომელშიაც შეტანილია მხოლოდ ის ცვლილებანი, რომლებსაც მოითხოვს ადგილობრივი თავისებურობა და პირობები. საბჭოთა საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობამ რევოლიუციონური ტრიბუნალის დებულების გამოქვეყნებით პირველად გამოსთქვა თავისი ნებისყოფა და სურვილი ისეთი იურიდიული ინსტიტუტის შექმნისა, რომელსაც დაკისრებული ექნებოდა არა მარტო საბჭოთა უფლებრივი აღმშენებლობა და სამოსამართლო—უფლებრივი ნორმები, არამედ აგრეთვე ეწარმოებინა და განეგრძო ის რევოლიუციონური ბრძოლა, რომელიც წილადა ჰხვდათ რუსეთის მუშებსა და გლეხებს. თუმცა ეს ბრძოლა იწარმოებდა არა იმ მძიმე სამოქალაქო ომის პირობებში—როგორც რუსეთში იყო, არამედ უფრო წყნარსა და მშვიდობიან დროის საალმშენებლო პროცესში. ამ შემთხვევაში საქართველოს რევოლიუციონურ ტრიბუნალს თავის განკარგულებაში ჰქონდა რუსეთის მზა მეთოდები და გამოცდილებანი, რომლებიც შექმნილი და მიღებული იყო რუსეთის ცხოვრებისა და ბრძოლის პირობებში.

ის საშუალება, რომელსაც იძლეოდა ადგილობრივი სახელმწიფოებრივი პირობები, საშუალება წყნარი, მეთოდიური მუშაობის დაწყებისა და წარმოებისა, ეს დიდი უპირატესობაა საბჭოთა საქართველოს ნორჩი რესპუბლიკის და მისი საალმშენებლო ორგანიზაციის ნაწილებისთვის.

დებულების მუხლში ნათქვამია, რომ საბჭოთა საქართველოს რევოლიუციონური ტრიბუნალი არსდება დროებით, კონტრ-რევოლიუციასთანა და იმ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც მიმართული იქნება საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მისი ავტორიტეტის დასაცავად.

ეს ტრიბუნალები საქართველოში არსდება დროებითი უმაღლეს სასამართლო ორგანოს სახით მანამდე, სანამ შეიქმნებიან სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და ცხოვრების ობიექტიური პირობები, რომ შესაძლო გახდეს მათი მუდმივი ორგანოებით შეცვლა. ეს დროებითი ხასიათი აიხსნება დღევანდელი გარდამავალი მომენტით, რომელშიაც იმყოფება ახალგაზრდა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც აწარმოებს გამძაფრებულ მოღვაწეობას სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივი მუდმივი და მტკიცე ფორმების ჩამოსაყალიბებლად.

რევოლიუციონურ ტრიბუნალის ორგანიზაციის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის საგულისხმო ფაქტი, რომ მისი თავმჯდომარე არის ერთი და შეუცვლელი პირი, ხოლო პრეზიდიუმის წევრები, რიცხვით ორი, ინიშნებიან დროებით, სამი თვის ვადით. რევოლიუციონურ ტრიბუნალს შეუძლიან თავის მოქმედების დროს, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, თავის შემადგენლობიდან გამოჰყოს განსაკუთრებული ერთი, ან ორი ნაწილი საქმეების სასწრაფოდ გასარჩევად, ან სამოგზაუროდ. ამ განსაკუთრებულ შემადგენლობის თავმჯდომარესა და წევრებს ნიშნავს ტრიბუნალის თავმჯდომარე. ტრიბუნალების კომპეტენციისა და მოქმედების სფერო საქმეთა გარჩევისა და მოსამართლეობის მხრივ, ფრიად მრავალფეროვანია. ძველი რეჟიმის სამოსამართლო ორგანოებთან შედარებით ტრიბუნალების მოღვაწეობის ასპარეზი ძლიერ ფართოა და იგი შეიცავს ძველი სამოსამართლო პალატისა და მრავალ შემთხვევაში კი—ძველი, უმართებელესი სენატის ფუნქციებსაც. ტრიბუნალის განხილვის სფეროს შეადგენს მაგალითად: კონტრ-რევოლიუციონური მუშაობა, როგორც არის: შეთქმულება, აჯანყება, ტერორისტული აქტები, პოგრომი, შპიონაჟი, სახელმწიფოებრივი ღალატი და სხვა (იხ.. ბ 7.)

როგორც ვიცით ზემო ჩამოთვლილი საქმეები შედიოდა ნაწილობრივად. სენატისა და სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის კომპეტენციაში.

ტრიბუნალის განხილვის სფეროს შეადგენს აგრეთვე ისეთი საქმეები, რომელთაც სწყვეტდა წინანდელი სასამართლო პალატა. ასეთი საქმეებია: თანამდებობის პირთაგან ჩადენილი დიდი ბოროტმოქმედებანი, მექრთამეობა, ფულის გამოტყუება, სიყალბე სამსახურში, მითვისება, გაფლანგვა, ხელისუფლების გადაჭარბება, და სხვადასხვ. (მუხ. 7. პარ. 2-3.) გარდა ზემოთქმულისა ტრიბუნალი არჩევს აგრეთვე ისეთ საქმეებს, რომელიც შეეხება დეზერტირობას, აღრიცხვაზე აღებულ საგნებით სპეკულიაციას, დეზერტირობაში წაქეზებასა და მის დაფარვას და სხ. იმდენად, რამდენადაც ეს საქმეები სამხედრო სასამართლოს პირდაპირ კომპეტენციის გარეშე სწარმოებს.

ამ ნაირად რევოლიუციონური ტრიბუნალი, რომელიც არის დროებითი ინსტიტუტი უმეშვეოდ განაგებს იმ საქმეებს, რომლებიც წინეთ შეადგენდა სამის ან ოთხი ორგანოს სამოღვაწეო ასპარეზს. ტრიბუნალი, როგორც რევოლიუციონური წესით მომქმედი მოსამართლე — განსჯისა და დაქვემდებარების საკითხს — მიორე ხარისხოვან მნიშვნელობის სფეროში ათავსებს. ამიტომ მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და განსაჩივრება აღარ შეიძლება.

საერთოდ როგორც ყველა მაღალი სამოსამართლო ინსტანცია ტრიბუნალი არჩევს მხოლოდ იმ საქმეებს, რომელთა შესახებ უკვე მომხდარა გამოძიება და გამოტანილია საქმის არსებით შინაარსის ფაქტიური და საჭირო დასკვნა. ეს საქმეები შეიძლება განხილული იყოს როგორც ჩვეულებრივი საგამომძიებლო ორგანოების მიერ (რომელთაცა უფლება აქვთ საჭიროების და მიხედვით საქმის ტრიბუნალში გადაგზავნისა) აგრეთვე საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ.

საჭირო შემთხვევაში ტრიბუნალი სწყვეტს საკითხებს საქმის გამორკვევისა და საერთოდ დამატებითი გამოძიების შესახებ და იგი გადაუგზავნის საგამომძიებლო ორგანოებს, საიდანაც მან მიიღო ხსენებული საქმე (მუხ. 10.)

როგორც რევოლიუციონური სამოსამართლო ხელისუფლების ორგანო, ტრიბუნალი განსხვავდება წინანდელი სამოსამართლო ორგანოების წესებისაგან. საქმის აღძვრა შეუძლიან ყოველ მოქალაქეს, სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებას. ამრიგად რევოლიუციონურ ტრიბუნალს შეუძლიან განსახილველად მიიღოს აგრეთვე ისეთი საქმეებიც, რომელთა შესახებ არ არსებობს საბოლოო გამოძიება, იმ შემთხვევაში თუ ამ საქმის გადაწყვეტა დაგვიანდება, გამოძიების გაჭიანურება სამსჯავროს დაუკარგავს რევოლიუციონურ ხასიათს. ასეთ განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმის წარმოება შეუძლებელი იყო ძველი სასამართლოს დროს.

მაგრამ მეორეს მხრით დებულებაში გათვალისწინებულია ისეთი შესაძლებლობა, როდესაც ტრიბუნალში შეიძლება შეტანილ იქმნეს განცხადება, და განცხადებასთან ერთად საქმესთან — დარღვეული წინასწარი გამოძიება. ამ შემთხვევაში ტრიბუნალის შეხედულებაზეა დამოკიდებული თუ რამდენად მიზანშეწონილადა სცნობს იგი საქმის განხილვას ან მის შესახებ ხელახალ გამოძიების დაწყებას. უკანასკნელ შემთხვევაში ასეთი განცხადება გადაეგზავნება სათანადო ორგანოს — წინასწარი გამოძიების მოსახდენად. (მუხ, 11).

მიუხედავად იმისა რომ ტრიბუნალს არა აქვს პროკურატურის აპარატი, მას მაინც სრული საშუალება ეძლევა შეამოწმოს საგამომძიებლო ხელისუფლების მოქმედება. ძველი კანონმდებლობა ამ მოვალეობას აკისრებდა სასამართლოებისა და პალატის პროკურორებს. ამ გვარად მათ უმორჩილებდა მთელს საგამომძიებლო ხელისუფლებას. რევოლიუციონურ ტრიბუნალს კი უფლება ეძლევა უშუალოდ შეამოწმოს საგამომძიებლო მოქმედება როგორც ყველა იმ საქმეების შესახებ, რომლებიც უკვე მას გასარჩევადა აქვს მიღებული, აგრეთვე იმ საქმეების შესახებაც, რომლებსაც აწარმოებს საქართველოს საგანგებო კომისია.

დებულების ეს მუხლი წაარმოადგენს დამახასიათებელ ფაქტორს ამ ჟამად არსებულ პროცესუალურ უფლებრივი ნორმებისა, რომელიც მთელ საგამომძიებლო ხელისუფლებას უმეშვეოდ უქვემდებარებს რევოლიუციონურ ტრიბუნალებს.

ამ რიგად ხსენებულ დებულებაში პირველად არის განხორციელებული საგამომძიებლო და სამოსამართლო ხელისუფლების კონტაქტის პრინციპი. საზოგადოდ დებულებას არა აქვს რა გათვალისწინებული ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც შესცვლიდეს ძველ პროკურატურას, მის ფუნქციებს აკისრებს რევ-ტრიბუნალს „in corpore“ და აგრეთვე მის თვითეულ წევრს. დებულების მეთორმეტე მუხლის თანახმად ტრიბუნალის დავალებით მის წევრებს უფლება აქვთ ინახულონ საპატიმრო ადგილები და გამოარკვიონ დატუსაღებულის დროის კანონიერება. ამ მოვალეობას ძველი კანონმდებლობა აკისრებდა პროკურატურას. იმ შემთხვევაში თუ შემჩნეული იქნება რაიმე უკანონობა, ტრიბუნალი განმკარგულებელ კრების საშუალებით კანონიერებისაკენ მიუთითებს იმ უწყებას, ვის განკარგულებაშიაც ითვლება დატუსაღებული. ასეთი უწყება ვალდებულია შვიდი დღის განმავლობაში ან განთავისუფლოს დატუსაღებული, ან წარუდგინოს ტრიბუნალს დამაკმაყოფილებელი და ამომწურავი ცნობები აღძრული საკითხის შესახებ.

ტრიბუნალში აღძრულ საქმეების შესახებ მოხსენებათა შესადგენად და მათთვის დასკვნის გამოსატანად დაარსებულია საგანგებო გამომძიებელ — მომხსენებელნი, რომელნიც მოქმედებენ ტრიბუნალის თავმჯდომარის, ან მისი წევრების მეთვალყურეობის ქვეშ. ამავე გამომძიებელ-მომხსენებელის მოვალეობას შეადგენს აგრეთვე დასკვნის მიცემა აღძრული საქმის გამო სამართალში მიცე-

მის შესახებ. ამ დასკვნაში შეძლების დაგვარად ზედმიწევნითა და დაწვრილებით უნდა იყოს აღნუსხული ცნობები საქმის მდგომარეობის შესახებ დამნაშავისათვის წარდგენილ ბრალდებათა არსებითი მხარე. თუმცა ამ გამომძიებელ მომხსენებლის ფუნქციები ჰგავს ძველი სასამართლოს პროკურორის ფუნქციებს (საბრალმდებლო ოქმი, დასკვნა სამართალში მიცემის შესახებ.), მაგრამ იგი განირჩევა ამ უკანასკნელისაგან მით, რომ ტრიბუნალის გამომძიებელი არ წარმოადგენს სამოსამართლო ხელისუფლების ცალკე წარმომადგენელს, არამედ ისეთ პირს, რომელიც იმყოფება პირდაპირ ტრიბუნალის განკარგულებაში და ასრულებს მის მიწერილობას, როგორც სასამარლთოს წესს.

ტრიბუნალის გამომძიებლის დადგენილებას ისეთ საქმეების შესახებ, როგორც არის მაგ. დატუსაღება, გაჩხრეკა, დაბარება, დატუსაღებულთა განთავისუფლება, და სხვა, ძალა აქვს იმდენად, რამდენადაც იგი აღჭურვილია ტრიბუნალის თავმჯდომარის, ან მისი წევრების მიწერილობით. ასეთი მდგომარეობა ტრიბუნალის მთელ საგამომძიებლო ხელისუფლებას უქვემდებარებს სამოსამართლო უწყებას, და ადგილი არა აქვს ამ შემთხვევაში იმ წინაალმდეგობას, როგორც იყო მაგალითად წინანდელ სასამართლოს პროკურატურისათვის დაქვემდებარება. საერთოდ რევოლიუციონური ტრიბუნალების ძველი სასამართლოსაგან განმასხვავებელი თავისებურობაში გამოიხატება საგამომძიებლო ხელისუფლებასთან მახლობელი კავშირი და მრავალი განსაკუთრებული და ფართო უფლებანი, რომლებზედაც ჩვენ ზევითა ვლაპარაკობდით.

განმკარგულებელ სხდომაზე საქმეთა განხილვა, სასამართლოს მიმართ განკარგულებათა და სხვა სწარმოებს სახალხო სასამართლოებისათვის შემოღებულ საერთო წესისამებრ, რომელშიაც ამ შემთხვევაში შეტანილია სათანადო ცვლილებანი.

სხდომა, რომელზედაც წინასწარ განხილული უნდა იქმნას ყველა საქმეები, რომლებიც ტრიბუნალში მიღებულია, არა უგვიანეს შვიდი დღისა. მოხსენებას აკეთებს თავმჯდომარე, ან ერთ ერთი მომხსენებელთაგანი. ეს განმკარგულებელი სხდომა ამტკიცებს გამომძიებელ-მომხსენებლის დასკვნათ—სამართალში მიცემის შესახებ.

საქმე ინიშნება მოსმენით, ან ისპობა წარმოებით. სწყდება საკითხები საქმეთა გამოძიების მიმართულების შესახებ, საზოგადოდ სწარმოებს იგივე წინასწარი სამოსამართლო მოქმედება, რომელიც ძველი სასამართლოების დროს უძღოდა ხოლმე მოსამართლეთა თათბირს.

ამავე განმკარგულებელ სხდომაზე სწყდება საკითხები იმის შესახებ, იყვნენ თუ არა გამოწვეულნი საქმის გარჩევის დროს ის მოწმენი, რომელთაც ჩვენება ჩამოერთვათ და ექსპერტები—ნივთიერად დამამტკიცებელი საბუთებისათვის და სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლოში საქმის გარჩევასთან; ეს სხდომა არჩევს აგრეთვე ბრალმდებელთა და სხვათა შუამდგომლობას, ან სარჩევარს იმ უსწორობის შესახებ, რომელიც დაშვებულია წინასწარი გამოძიების დროს.

ამ განმკარგულებელ სხდომაზე განხილული საქმე სასამართლოში მოსასმენად უნდა დაინიშნოს არა უგვიანეს შვიდი დღისა (მუხ. 20). დანარჩენი სხვა საქმეები რევოლიუციონური ტრიბუნალის განმკარგულებელი სხდომისა, რომლებსაც მიზნადა აქვთ საქმის მოსასმენად ყოველგვარი მასალების დამუშავება, ძლიერ წაგავს ძველი სასამართლოს წესებს, მაგრამ მათს შორის არის ფრიად მკვეთრი განსხვავება. ავიღოთ თუნდ ისეთი საკითხი, როგორც არის ბრალდება და დაცვა, როგორც ერთისა, ისე მეორის დანიშვნა საგანგებით და განსაკუთრებით დამოკიდებულია რევოლიუციონური ტრიბუნალისაგან. დებულებას გათვალისწინებული, არა აქვს სახელმწიფო ბრალდება, რომელსაც ანხორციელებს პროკურატურა, მაგრამ თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ტრიბუნალს შეუძლიან დანიშნოს, ბრალმდებელი, მხოლოდ ამ შემთხვევაში მან უნდა დაუშვას აგრეთვე დამცველიც. ამნაირად ამ ახალი სასამართლოს წესის თანახმად ბრალდებისა და დაცვის საკითხი სულ სხვაგვარად სწყდება და ხორციელდება, ვიდრე ეს ხდებოდა ძველად. აქ სახელმწიფო პროკურატურის მიერ ბრალის დადება და აგრეთვე კერძო და სახელმწიფო დამცველობა—ნაფიც ადვოკატურის სახით,—შეცვლილია სახალხო ბრალმდებელთა ინსტიტუტით. ბრალმდებელი ინიშნება თვითონ ტრიბუნალისა და უფლების დამცველი ორგანოს მიერ,—ნაცვლად წინანდელი წესისა. დამცველთა კოლეგიის წევრების გარდა, დამცველად შეიძლება გამოვიდეს აგრეთვე სხვა პირიც, რომელიც ტრიბუნალის ნდობითა სარგებლობს.

რაც შეეხება ტრიბუნალის სამოსამართლო სხდომის მიერ საქმეთა გარჩევას, უნდა აღინიშნოს, რომ იგი სწარმოებს სხვა სამსჯავროთა წესისამებრ და დამახასიათებელია თავისი სადაობით.

ტრიბუნალის სხდომაზე საქმეები ირჩევა არსებითად და ამავე დროს ბრალდებული უზრუნველყოფილია ყველა იმ პროცესუალურ გარანტიებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია საქმის წარმოების ფორმალურ მხარესთან.

ტრიბუნალის სხდომები სწარმოებს ახდილად, ბრალდებულის თანადასწრებით, თუმცა შესაძლებელია საქმის გარჩევა ბრალდებულის დაუსწრებლადაც, იმ შემთხვევაში თუ დამტკიცებულ იქნება შემდეგი: 1. ამის შესახებ თუ ბრალდებული თანხმობას განაცხადებს, 2. თუ დამტკიცდება, რომ ბრალდებული ემალება სასამართლოს და 3. თუ ბრალდებული იმყოფება რესპუბლიკის საზღვრების გარეშე, ამ შემთხვევაში ტრიბუნალს უფლება აქვს საქმე გამოჰყოს განსაკუთრებულ განხილვისათვის, და გადაწყვეტილება გამოიტანოს დამნაშავის დაუსწრებლად.

მოწმეთა დაკითხვა, ან დამატებითი ცნობების მისაღებად ახალი მოწმეების დაშვება საქმის განხილვის დროს სავსებით დამოკიდებულია ტრიბუნალის შეხედულებაზე.

საერთოდ საქმის განსახილველად დანიშნული სხდომა სწარმოებს იმ წესით, რომელსაც მოითხოვს საზოგადოდ მიღებული უფლებრივი ნორმები. სხდომაზე უკანასკნელი სიტყვა, როგორც ყოველგან აქაც თავმჯდომარეს ეკუთვნის.

საქმის გამო დადგენილებისა და განაჩენის გამოტანის დროს ტრიბუნალი ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარული რევოლიუციის ინტერესებით. ეს მუხლი წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვანსა და დამახასიათებელს ფაქტს პროლეტარული მართლმსაჯულების დარგში. ტრიბუნალს განაჩენი გამოაქვს არა მხოლოდ კანონის მკვდარი წერტილისა და ფორმალობის მიხედვით, არამედ იგი ხელმძღვანელობს საქმის არსებითი ინტერესის მიხედვითა და ყოველი მოსამართლის უფლებრივი შეგნების კარნახით.

ტრიბუნალის განაჩენის სააპელაციო განსაჩივრება არ შეიძლება. სააპელაციო ინსტანცია არ არსებობს, რადგან რევოლიუციონურ-კანონმდებლობას სასამართლოს განაჩენი უკვე საბოლოოვად მიჩნია და მის მეორე ინსტანციაში გადატანას საჭიროდ არა სთვლის. ტრიბუნალის გადაწყვეტილების განსაჩივრება შეიძლება მხოლოდ საკასაციო წესით, რისთვისაც საქართველოს რევკომთან დაარსებულია საკასაციო ტრიბუნალი. საკასაციო საჩივარი შეტანილი უნდა იქმნას გასამართლებულის განაჩენის ასლის მიღებიდან 48 საათის განმავლობაში იმ ტრიბუნალში, რომელმაც ხსენებული განაჩენი დაადგინა. გასამართლებულთათვის არსებობს აგრეთვე საკასაციო პროტესტი. ამ პროტესტის დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მისი განცხადება შეუძლიან ყველას, როგორც სახელმწიფო საბრალმდებლო ორგანოს წარმომადგენელს, ისე ყოველ მოქალაქეს, რომელიც უკმაყოფილოა გასამართლებელი განჩინებისა, ან ამ განაჩენის ლმობიერებით. (მუხ. 38). ამ რიგად, აღნიშნული მუხლი, ფართო პროლეტარულ მასსებს საშუალებას აძლევს რომ მათ მუდმივი ზედამხედველობა გაუწიონ რევოლიუციონური ტრიბუნალების მოღვაწეობას.

ცხრა თვის განმავლობაში რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა, როგორც სისხლის სამართლის უმაღლესმა საძიებელმა, რომელიც წარმოშობილია რევოლიუციის ქარიშხალში,—თავისი მოქმედებით დაამტკიცა, რომ ის სრულიად ღირსეულად უძღვებოდა იმ ამოცანებს, რომელიც დაკისრებული ჰქოდა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მიერ.

ამ ჟამად სოციალურ რევოლიუციონური სიტუაცია შეიცვალა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე რომელიც არის საბჭოთა აღმშენებლობის ბაზა, წამოყენებულია ახალი ამოცანები აგრეთვე საბჭოთა კანონმდებლობის დარგშიაც. ეს ზემონათქვამი გარკვევით აღნიშნა სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობამ, რომელმაც ერთ თავის დადგენილებაში აუცილებლად სცნო მტკიცე უფლებრივი-წესიერების დამყარება და გამოძიებაშავება ისეთი ნორმებისა, რომლებიც განსაზღვრავს და ჩამოაყალიბებს საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთა პირად და ქონებრივ უფლებებს. ამრიგად ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან ერთად დაისვა საკითხი ახალი სამოქალაქო უფლების შექმნისა, რომელსაც მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული აგრეთვე სისხლის სამართალიც, აქ საბჭოთა უფლებრივი აღმშენებლობისთვის აუცილებელი გახდა როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო უფლებრივი ნორმების შექმნა.

ამასთანავე ერთად აღიძრა საკითხი აგრეთვე პროცესუალური უფლების შესახებ და მაშასადამე, საკითხი იმის შესახებ, რომ მოხდეს რეორგანიზაცია სასამართლოს წესებისა და მათი კომპეტენციის, მათი ურთიერთშორისი დამოკიდებულებისა, პროკურატურისა, ადვოკატურისა და საზოგადოდ რესპუბლიკის უფლებრივ და იურიდიულ აპარატის საფუძვლიანად გარდაქმნის შესახებ.

შეიარაღებული ბრძოლიდან მშვიდობიან სამეურნეო აღმშენებლობაზე გადასვლით—საბჭოთა მთავრობა დადგა ახალი ერის საზღვარზე უფლებრივი მშენებლობისა და იუსტიციის დარგში.

და საბჭოთა საქართველო, რომელიც თავის საღმშენებლო მოღვაწეობის დროს სახელმძღვანელოდ ხმარობს საბჭოთა რუსეთის გამოცდილებასა და მეთოდებს, ალბად უთუოდ გამოხატავს თავის კანონმდებლობაში იუსტიციის უფლების ამ ახალ ფორმებს, რომლებიც ნაკარნახევია ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსით.

ლ. სარაჯიშვილი.

ამხ. ლენინის მოხსენება

(შემდეგი *)

არის ფაქტები, რომელთა უარყოფაც არ შეიძლება, ეს ფაქტები უდაოთ ამტკიცებენ რომ რუსეთის ყველაზე პატარა ეროვნებასაც კი რომელსაც დაუმარცხებია მენშევიკები და ესერები შეუძლიან დამშვიდებული იყოს მიტომ, რომ ამ ეროვნებისადმი დამოკიდებულებაში ჩვენ კეთილი განზრახვების მეტი არაფერი გვაქვს, რომ ძველი მთავრობების ძველი პოლიტიკის ბოროტების შესახებ ჩვენ არ ვასუსტებთ ჩვენ პროპაგანდას და რომ ჩვენი სურვილია—უდიდესის მსხვერპლითა და დათმობით აუცილებლად დავიცვათ მშვიდობიანი ურთიერთობა ყველა იმ ეროვნებისადმი, რომელნიც წინეთ იყვნენ რუსეთის იმპერიაში და რომელნიც კვლავ ჩვენთან დარჩენას მოისურვებენ. ჩვენ ეს დავამტკიცეთ. და რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს ყოველის მხრიდან ჩვენს თავზე დატეხილი წყევლა-კრულვა, ჩვენ ამას მაინც დავამტკიცებთ. ჩვენ ეს მშვენივრად დავამტკიცეთ,—და რუსეთის მუშათა და გლეხთა მრავალმილიონიან მასსის წინაშე ჩვენ დამშვიდებით ვიტყვით, რომ მომავალ-

---

§) იხ. „მოამბე" № 26.

შიაც ჩვენ მთელის ჩვენის ძალ-ღონით დავიცავთ მშვიდობიანობას, რომ ჩვენ არ შევჩერდებით დიდი მსხვერპლისა და დათმობის წინაშე. ამ მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად. მაგრამ არის საზღვარი, რომლის იქითაც წასვლა არ შეიძლება, ჩვენ არავის მივცემთ ნებას სამშვიდობო ხელშეკრულებათა გათახსირებისას. არ მივცემთ ნებას რომ შეეცადონ ჩვენი მშვიდობიანი მუშაობის დარღვევა, ჩვენ ამას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებთ და აღვსდგებით, როგორც ერთი კაცი რომ დავიცვათ საკუთარი არსებობა. (ტაში).

ამხანაგებო, ის, რაც მე თქვენ ეხლა გითხარით—თქვენთვის სავსებით გასაგები და ნათელია და არც შეგეძლოთ სხვანაირი მოლოდინი გქონოდათ იმისაგან, ვინც თქვენს წინაშე ჩვენი პოლიტიკის ანგარიშს გააკეთებდა. თქვენ იცოდით, რომ ჩვენი პოლიტიკა არის ასეთი და მხოლოდ ასეთი. მაგრამ სამწუხაროდ ამ ჟამად მსოფლიოში არის ორი ქვეყანა: ძველი კაპიტალიზმის ქვეყანა, რომელიც აიწეწ-დაიწეწა და მეორე ახალი, მოზარდი ქვეყანა, რომელიც ჯერ ისევ ძალიან სუსტია, მაგრამ იზრდება და იგი დაუძლეველია. ძველ ქვეყანას თავისი ძველი დიპლომატია აქვს, რომელსაც არ ძალუძს დაგვარწმუნოს რომ შეიძლება აშკარად და პირდაპირ ლაპარაკი. ის ყველაფერში ასე ფიქრობს: „აქ სწორედ რაიმე თვალთმაქცობა უნდა იყოს“. (ტაში და სიცილი) და როდესაც ამ ეკონომიურ და სამხედრო ძლევა-მოსილების მხრივ ყოვლად შემძლე მსოფლიოს ერთმა წარმომადგენელმა ჩვენ გამოგვიგზავნა (დიდი ხანია რაც ეს მოხდა) ამერიკის მთავრობის ერთერთი წარმომადგენელი—ვულლიტი, რომელმაც წინადადება მოგვცა რომ დენიკინთანა და კოლჩაკთან შეგვეკრა ჩვენთვის ფრიად არა ხელსაყრელი ზავი, და ამ ვულლიტს განუცხადეთ, რომ ჩვენ იმდენად ვაფასებთ მუშებისა და გლეხების სისხლს, რომ მზადა ვართ ამ შემთხვევაში ჩვენთვის არა ხელსაყრელ ზავსაც დავთანხმდეთ, ვინაიდან დარწმუნებული ვართ დენიკინისა და კოლჩაკის შინაგან გახრწნაში; როდესაც ეს გაუცხადეთ—მან გადასწყვიტა რომ ჩვენ უეჭველად, მატყუარები უნდა ვყოფილიყავით. და როდესაც ჩვენს საერთო მაგიდაზე კეთილ—მოსურნეთ მოსაუბრე ვულლიტი თავს სამშობლოში დაბრუნდა, მას დიდის მრისხანებით შეჰხვდნენ, აიძულეს ხამსაპურიდან გადადგომა და მე მიკვირს როგორ მოხდა, რომ იმპერიალისტური წესისამებრ მას კატორღაში არ უკრეს თავი—„ბოლშევიკებისადმი საიდუმლო თანაგრძნობისათვის“. (სიცილი და ტაში.) მაშინ ჩვენ ვთანხმდებოდით ჩვენთვის არა ხელსაყრელ ზავს, ხოლო ჩვენ იგი ზავი მივიღეთ უფრო ხელსაყრელ და უკეთეს პირობებში. არის ერთი პატარა გაკვეთილი. მე ვიცი, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ძველი დიპლომატიის შესწავლა, როგორც არ შეგვიძლიან საკუთარი თავის გარდაქმნა და გადაკეთება, მაგრამ ის გაკვეთილები დიპლომატიურ დარგში, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ჩავაბარეთ სხვა და სხვა სახელმწიფოებს—არ შეიძლებოდა უკვალოდ გამქრალიყვნენ, და ალბად ზოგიერთგან დარჩენილ სასოვრად. (სიცილი.) ამიტომ, ჩვენი პირდაპირ განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთის მუშები და გლეხები ყველაზედ უფრო მეტად აფასებენ ზავის სიკეთეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ მხოლოდ განსაზღვრული დათმობა და უკან დახევა შეუძლიანთ, ეს განცხადება ისე მიიღეს, რომ არც ერთ წამს არ დავიწყებიათ ის უსიამოვნებანი, რომელნიც მათ განიცადეს იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის დროს ჩვენის მითითებებით. ეს ჩვენი მითითება, რომელსაც მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ მთელის ყრილობით, მთელი რუსეთის მუშათა და გლეხთა მასსებით დავამტკიცებთ და გამოვთქვამთ, უკვალოდ არ ჩაივლის და რაიმე როლს მაინც ითამაშებს. აი, ამხანაგებო, ის რაც მე აუცილებლად მიმაჩნია რომ გითხრათ ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მიღწეულია განსაზღვრული წონასწორობა, იგი მერყეევი წონასწორობაა. ეკონომიურ და სამხედრო მდგომარეობის მხრივ ჩვენ უსაზღვროდ სუსტნი ვართ, ხოლო მორალიურად—კი ყველაზე ძლიერნი. ასე ვგონია და ეს ნაცადია საქმით. და ის, რომ ეს მორალიური ხიძლიერის ფაქტი გამოსჭვივის უფრო მეტად დამშვიდებულ დროს, ვიდრე აქამდე იყო, ეს უკვე დამტკიცებულია, არა სიტყვებით, არამედ საქმითეს ერთხელ უკვე დამტკიცებულია და თუ მაინც. და მაინც ისტორია შემობრუნდება სხვანაირად ეს დამტკიცდება და დამტკიცდება არა ერთხელ, აი, რატომ ვამბობთ ჩვენ, რომელთაც ხელი მოვკიდეთ მშვიდობიან აღმშენებლობას, ჩვენ შევს. წირავთ მთელს ძალღონეს, რომ ეს აღმშენებლობა განვაგრძოთ შეუჩერებლად. ამავე დროსამხანაგებო, იყავით ფხიზლად, იყავით მზად, გაუფრთხილდით ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარსა და ჩვენს წითელ არმიას, გაუფრთხილდით, როგორც თვალის ჩინს და გახსოვდეთ, რომ ჩვენ უფლება არა გვაქვს, ერთის წამითაც კი შევასუსტოთ ჩვენი ძვირფასი მუშებისა და გლეხების ძლევა მოსილება და მათი მონაპოვარი. (ტაში) ამხანაგებო, ამ მცირე მოხსენების შემდეგ, რომელიც არის ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის არსებითი დახასიათება, მე მოგახსენებთ იმის იმის შესახებ, თუ როგორ ეწყობა ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან.

უდიდესი სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის განსაზღვრულ ურთიერთობის დაუმყარებლად შეუძლებელია ჩვენთვის მტკიცე ეკონომიური დამოკიდებულება. მომხდარი ამბები ცხადჰყოფენ, რომ ეს შეუძლებელია მათთვისაც. მაგრამ ჩვენ ამ ჟამად არც ისე ალტრუისტულად ვართ განწყობილი და უფრო მეტს ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორ უნდა შევძლოთ, რომ საშუალება გვქონდეს არსებობისა. ან საზოგადოდ შესაძლებელი კი არის, რომ კაპიტალისტურად გარემოცულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ იარსებოს? ეს უაზროდ იყო მიჩნეული, პოლიტიკურის თვალსა

ზრისით. რომ ეს შესაძლოა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურად,-ეს უკვე დამტკიცებულია, ეს ფაქტია, მერე ვაჭრობაში? ეკონომიურ ბრუნვაში? აი კავშირი? კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მოწინავე მდიდარი ჯგუფის მიერ ჩაძორჩენილ დანაგადგურებულ რუსეთისათვის დახმარება?-ეს ხელსაძლეველია? განა ჩვენ არ გვემუქრებოდნენ რომ ეკლიანი მავთულის წრეს შეძოგვავლებდნენ და აითი მოსპობდნენ ჩვენთან ყოველგვარ ეკონომიურ დამოკიდებულებას? განა ჩვენზედ არ იყო ნათქვაძი: „რახან მათ ოძისა არ ეშინიახთ, ჩვენ მათ ბლოკადით დავიმორჩილებთო?“.

ამხანაგებო, ამ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ მრავალი მუქარა გვინახავს და ისეთი უცნაური მუქარა, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან რომელიძე ძათგანს მეუშინდეთ, რადგან როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა ძველია გაგება იმისი თუ ვისთვის უფრო ძვიმეა ბლოკადა: იმისთვის ვიზედაც ბლოკადას აცხადებენ, თუ იმისათვის—ვინც ამ ბლოკადას აცხადებს. გამოცდილებამ აუცილებლად დაგვანახვა, რომ განვლილ წელს თუცა ჩვენთან დამოკიდებულება გამოცხადებული იყო არ არსებულად, (დაე, იგი არ არსებულად ჩასთვალოს ბუოჟუაზიულძა სამსჯავროძ), მაგრამ ეს დამოკიდებულება მაინც აოსებობს. ასეთი ძოვლენა ძე უფლეაას მაძლევს რომ ზემონათქვამი სოულიად გადაუჭარბებლად მოგახსენოთ, როგორც ერთი უმთავოესი რეზულტატთაგანი საანგარიძო-1921 ულისა.

მე არ ვიცი დაგირიგდათ, თუ ამ დღეებში დაგირიგდებათ გაოეძე საქმეთა კომისარის საბჭოთა ძეცხრე ყრილობისათვის წარსადგენი ანგარიში. ჩემის აზრით ამ ანგარიმის ნაკლს შეადგენს ის, რომ იგი ძლიერ დიდია და მისი ბოლომდის წაკითხვა ძლიერ საძნელოა. მაგრამ შესაძლოა რომ ეს ჩემი პირადი სისუსტის ბრალი იყოს, და მე ეჭვიც კი არ ძეპაოება იმაში, რომ თქვენს შორის დიდი უმოავლესობა და აგრედვე ყველა ის ვისაც პოლიტიკა აიხტერესებს—ამ ანგარიმს წაიკითხავს და თუხდ იგი არც კი წაიკითხოს და მხოლოდ ისე, ოდნავ რომ დახედონ და გადაფურცლონ მამინ—ყველა დაინახავს, რომ ოუსეთი გაზრდილა თუ შეიძლება ასე ვსთქვათ—მთელ რიგ საკმაოდ სწორის და ძუდმივი სავაჭრო ურთიერთობით, წარძომადგენლობითა და და სხვ. თუძცა მართალია ჩვენ იურიდიულად აღიაოებულნი არ ვართ, და ამას თავისი ძნიძვნელობა აქვს, ვინაიდან ბოლო დროს კვლავ გაძლიერდა ხიფათი ახალი თავდასხმებისა და ძეოყევი წონასწორობის დასაღვევად, ეს ფაქტი ფაქტადა რჩება. 1921 წლის გახძავლობაში, ოომელიც პირველი წელიწადა საზღვარგარეთთან ჩვენი სავაჭრო აღებ-ძიცყძობის დაწყებისა—ჩვენ ძლიერ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. ეს ნაბიჯი დაკავ ძირებულია ჩვენს ტრანსპორტთან, ოომელიც აოის ძთელი ჩვენი ეკონომიკის ერთი უმთავრესი ბაზართაგანი. ეს ნაბიჯი დაკავ ძირებულია საზღვარ გარეთიდან შეძოტან-გატანასთან. ხეაა მომეცით ამის შესახებ მოგაასენოთ სულ მცირეოდენი ციფრები.

მთელი ჩვენი დაბრკოლებანი, უმთავრესი სამძნელე სათბობისა და სურსათის მხრივ, ძველი სამძიმე გლეხობის მეურნეობის ჩამოქვეითებისა, თავს დატეხილ შიმშილობისა და სხვა უბედურებათა და სხვა ყველა საკითხები დაკავშირებულია ტრანსპორტის საკითხთან. ამ წლის განმავლობაში ჩვენი ტრანსპორტის ორგანიზაციულად გაუმჯობესების საქმე ეჭვს გარეშეა. 1921 წლის განმავლობაში მდინარეთა ხომალდებით ჩვენ მიმოვზიდეთ გაცილებით მეტი, ვიდრე 1920 წელს. 21 წლის განმავლობაში საშუალო მიმოზიდვა გამოიხატა ვერსზე ათასი ფუთის გადატანაში, ხოლო წინა წელს კი ვერსზე 800 ფუთს არ გასცილებია. უეჭველად არსებობს ორგანიზაციული პროგრესი. ჩვენ პირველად ვიღებთ საზღვარ-გარეთიდან დახმარებას: ძეკვეთილი გვაქვს ათასი ორთქლმავალი, რომელთა შორის ჩვენ უკვე მივიღეთ 13 შვედური და 37 გერმანული ფირმის ორთქლმავალი. ეს თუმცა ძლიერ მცირეა, მაგრამ მაინც დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. შეკვეთილი გვაქვს აგრეთვე ასეული ცისტერნები, რომელთა შორის 50 ცალი უკვე მივიღეთ 1921 წლის განმავლობაში. ეს მცირე დასაწყისი ჩვენ ძლიერ ძვირად გვიჯდება, უზომოდ ძვირად გვიჯდება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დიდი ქვეყნების მსხვილი და მოწინავე მრეწველობა მაინც დახმარებას გვიწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოების მსხვილი სავაჭრო მრეწველობა ჩვენი მეურნეობის აღუდგენლად ძლიერ უძლური აღმოჩნდა მიუხედავად იმისა, რომ ამ სავაჭრო მრეწველობას ხელმძღვანელობენ კაპიტალისტები, რომელთაც მთელის არსებით ვეზიზღებით ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ისინი გაერთიანებულნი არიან იმ მთავრობებით, რომელნიც თავიანთ პრესაში შეუჩერებლად განაგრძობენ ცნობების ბეჭდვას იმის შესახებ, თუ როგორა სდგას საბჭოთა რუსეთის დეიურედ აღიარების საკითხი, და აგრედვე იმის შესახებ არის თუ არა კანონიერი ბოლშევიკური მთავრობა. და ბევრი თავის ძტვრევის შემდეგ აღმოაჩინეს რომ იგი კანონიერია, მაგრამ იგი აღიარებული მაინც არ იქნება. მე უფლება არა მაქვს რომ ეს სამწუხარო სიძართლე დავფარო თქვენს წინაშე, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა მაინც ვითარდება და ფართო ხასიათსა ღებულობს. ყველა ეს კაპიტალისტური სახელმწიფოები ისეთი მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, რომ თუმცა ისინი გვყვლეფავენ, მაგრამ ამითი მაინც შველიან და ხელს უწყობენ ჩვენი მეურნეობის აღდგენას. როგორ მოხდა ეს? რატომ მოქმედებენ ისინი თავიანთი ნებისყოფის წინააღმდეგ, წიხააღმდეგ იმისა, რასაც განუწყვეტლად ღალადებს მათი პრესა? მერე ეს პრესა ხომ არა ჰგავს ჩვენსას—თავისი ეგზემპლიარულის რაოდენობითა და თავისი სიძულვილის ძლიერებით?

ისინი ჩვენ ბოროტმოქმედთა და დამნაშავეებს გვიწოდებენ და მიუხედავათ ამისა გვშველიან, ძაიც გვეხმარებიან. და ბოლოს ისე გამოდის რომ ისინი ეკონომიურად ჩვენთან არიან დაკავშირე-

ბულნი, გამოდის, რომ ჩვენი ანგარიშები, აღებული ფართო მაშტაბით უფრო მართალი აღმოჩნდა, ვიდრე მათი ანგარიშები. და ეს იმიტომ კი არ მოხდა თითქოს მათ არა ჰყავდათ ისეთი ხალხი, რომელთაც შეეძლოთ სისწორით გათვალისწინება და ანგარიში, პირ იქით, ასეთი ხალხი იმათ ჩვენზე მეტი ჰყავთ—არამედ ეს იმიტომ მოხდა, რომ არ შეიძლება სწორედ ანგარიში მაშინ როდესაც დამღუპველ გზაზედა დგეხარ. აი, რატომ მინდა რომ დამატებით გაცნობოთ რამოდენიმე ციფრი, რომლებიც თქვენ დაგარწმუნებთ საზღვარ-გარეთთან ჩვენი ვაჭრობის განვითარებაში. ავიღებ ყველაზედ პატარა ციფრებს, რომლების ადვილად დახსომებაც შეიძლება. თუ ავიღებთ სამ უკანასკნელ წელს, (18, 19 და 20 წწ.) ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ხნის განმავლობაში საზღვარ გარეთიდან ჩვენ მიერ შემოზიდული საქონლის რაოდენობა არ აღემატება 17 მილიონ ფუთზე ცოტა მეტს. 21 წლის განძავლობაში კი ჩვენ მიერ საზღვარ გარეთიდან შემოზიდულ საქონლის რაოდენობა უდრის 50,000,000 ფუთს, ესე იგი ერთად აღებულ წინა წლებთან შედარებით სამჯერ მეტს. ჩვენ მიერ საზღვარ გარეთ გატანილი საქონლის რაოდენობა ხსენებული სამი წლის განძავლობაში უდრიდა სულ $2^1/_2$ ძილიონ ფუთს, ხოლო, 1921 წლის განძავლობაში კი—ეს რაოდენობა უდრიდა $11^1/_2$ ძილიონ ფუთს. ეს ციფრა სრულიად უმნიშვნელოა, სასაცილომდე პატარა ციფრაა იგი, ეს ციფრა ყველა ძოდნე ადამიანს პირველ შეხედვისთანავე ეუბნება: —„სიგლახაკე, სიღატაკე". აი, რას გვეუბნება ეს ციფრები: მაგრამ ძიხედავთ ამისა, ეს მაინც დასაწყისია. ჩვენ ვინც განვიცადეთ სიძარტოვისა და ამოღრჩობის საშინელი მუქარა იმის შესახებ, რომ მანამდის, სანამ ჩვენ იმად დავრჩებით, რაც ამ ჟამად ვართ, ისინი არაფერს გამოუშვებენ ჩვენსკენ, არაფერს მოგვაწვდიან, ჩვენ ძაინც ვხედავთ, რომ ზოგიერთი რამ უფრო ძლავრი აღმოჩნდა, ვიდრე მათი მუქარა. ჩვენ მაინც ვხედავთ, რომ ეკონომიური განვითარება ჩვენგან უფრო სისწორით იყო გათვალისწინებული, ვიდრე მათგან.

დასაწყისი დაწყებულია. ამიერიდან მთელი ჩვენი ყურადღება, მთელი ჩვენი ძალღონე იმას უნდა ძოვახმაროთ, რომ ეს ეკონომიური განვითარება არ შეჩერდეს, რომ ის წინ წავიდეს. მე კიდევ ძოვიყვან ერთ პატარა მაგალითს იმის დასამტკიცებლად, თუ 1921 წლის განმავლობაში როგორ ძივდიოდით წინ. ამ წლის პირველ მეოთხედში საზღვარგარეთიდან ჩვენ შემოვიტანეთ 3,000,000 ფუთამდე საქონელი, მეორე მეოთხედში კი 24,000,000 ფუთი. ამის მიხედვით ჩვენ ძაინც წინ მივაბიჯებთ. ეს ციფრები არარაობამდე მცირეა, მაგრამ მათი რიცხვი თანისთან იზრდება. და ჩვენ ვხედავთ თუ როგორ გაიზარდა ეს ციფრები 1921 წლის განმავლობაში, რომელიც არ შედის ანგარიშში, რომელიც იყო წელიწადი გაუგონარის სიმძიმისა და სიძნელისა—ჩვენთვის. თქვენ კარგად იცით თუ რას ნიშნავდა ისეთი უბედურება, როგორიც არის შიმშილობა, რომელსაც მოაქვს საშინელი და გაუგონარი დაღუპვა. ასევე ფლო მეურნეობისა, მრეწველობისა და მთელი ჩვენი ცხოვრებისათვის. და მაინც მიუხედავად იმისა რომ ჩვენ ვიყავით ომისგან განადგურებული ქვეყანა, ქვეყანა, რომელმაც გადაიტანა უსაშინელესი უბედურებანი და მიუხედავად მეფეთა და კაპიტალისტების ბატონობისა, მიუხედავად ყველა იმ მძიმე რეზულტატებისა, ჩვენ მაინც ვდგევართ ისეთ გზაზე, რომელიც ჩვენ გვაძლევს ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას—მიუხედავად ჩვენდამი განუწყვეტელი მტრობისა. აი, რა არის ძირითადი ფაქტორი. და როდესაც ჩვენ ამას წინად წავიკითხეთ ცნობა ვაშინგტონის კონფერენციის შესახებ, როდესაც ჩვენ გავიგეთ ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილი სახელმწიფონი—ზაფხულში იძულებულნი იქნებიან მოიწვიონ მეორე კონფერენცია რუსეთისა გერმანიის თანადასწრებით, სადაც უნდა განიხილონ ნამდვილი ზავის პირობები—ჩვენ ვამბობდით: ჩვენი პირობები გარკვეული და ნათელია, ჩვენ იგი პირობები გამოვიმუშავეთ, გამოვაქვეყნეთ კიდეც. ამ ნიადაგზე რამდენ მტრობას შეხვდებით? ამ მხრივ ჩვენთვის ყველაფერი ამკარაა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ვინც ჩვენ ბლოკადას გვიცხადებდა მათი ეკონომიური მდგომარეობა აუტანელი შეიქმნა. არის ერთი ძალა, რომელიც ძლიერია ყველა მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა და კლასთა სურვილებზე და გადაწყვეტილებაზე. ეს ძალა არის საერთაშორისო ეკონომიური დამოკიდებულება, რომელიც აიძულებს მათ ამ გზაზე დადგომას. რამდენადაც მეტად დაადგებიან ისინი ამ გზას, იმდენად უფრო ფართოდ და სწრაფად შეიცვლება მდგომარეობა და გასაგები გახდება ის, რაც მე დღეს მოგახსენეთ 1921 წლის ანგარიშის დროს, რაც გამოიხატა იმაში, რომ მე თქვენ მიგითითებთ მხოლოდ უმნიშვნელო ციფრებზე.

ეხლა მე უნდა გადავიდე ჩვენს შინაურ ეკონომიურ მდგომარეობაზე და აქ მთავარი საკითხი, რომელზედაც ჩვენ შევჩერდებით უპირველის ყოვლისა, ეს არის საკითხი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისა. საანგარიშო 1921 წლის განმავლობაში ჩვენი უმთავრესი მუშაობა იმაში მდგომარეობდა, რომ გადავსულიყავით ამ ახალი ეკონომიურ პოლიტიკაზე, რომ გადაგვედგა ამ მხრივ პირველი ნაბიჯები, შეგვესწავლა მისი გატარება, შეგვეთვისებინა მისთვის ჩვენი კანონმდებლობა, ჩვენი ადმინისტრაცია —აი ეს იყო ჩვენი მთავარი საზრუნავი ამ წელს. თქვენ იცით პრესიდან მთელი რიგი ფაქტები და ცნობები, რომლებიც ამტკიცებენ იმას თუ როგორ ვითარდებოდა მუშაობა ამ დარგში. რასაკვირველია თქვენ არ მოგთხოვთ, რომ მე აქ დამატებითი ფაქტები მოვიყვანო და ან ჩამოგითვალოთ ესა თუ ის ციფრები. საჭიროა მხოლოდ გავაშუქოთ ის ძირითადი საკითხი, რომელიც ჩვენ ყველაზე მეტად გვაერთებდა, რაც წარმოადგენს ყველაზედ არსებითს ჩვენი რევოლიუციისა, უძირითადეს და უმთავრეს საკითხთაგანს ჩვე-

ნი რევოლიუციის და საზოგადოდ ყველა მომავალ სოციალისტური რევოლიუციებისას თუ მათ საერთოდ მსოფლიო მასშტაბით ავიღებთ. ყველაზედ ძირითადი, ყველაზე არსებითი საკითხი, ეს არის მუშათათა კლასის დამოკიდებულება გლეხობასთან, ეს არის—მუშების მიერ, საქმის ისე დაყენება, რომ თავის მხარეს მიიზიდონ გლეხთა მასსები, რომელნიც იყვნენ ამომჩრჩვალნი კაპიტალიზმისა და მემამულეთაგან, ამომჩრჩვალი თავიანთ გლახაკურ და ჩამორჩენილი მეურნეობით. ამ მუშებმა უნდა დაუმტკიცონ გლეხებს რომ მათ მხოლოდ მოწინავე მუშებთან მტკიცე კავშირით შეუძლიანთ თავი დაახწიონ კაპიტალისტებისა და მემამულეთა მონობას, მხოლოდ ამ კავშირის განმტკიცებით შეიძლება მთელი კაცობრიობის გადარჩენა ისეთ საშინელებათაგან, როგორიც იყო უკანასკნელი კაპიტალისტური სასაკლაო, იმ ველური წინააღმდეგობათაგან, რომელსაც ჩვენ ამ ჟამად ვხედავთ კაპიტალისტურ მსოფლიოში, სადაც ერთი მუჭა მუქთახორა მპყრობელნი იხრჩობიან სიმდიდრეში, ხოლო მთელი დედამიწის მცხოვრებთა გიგანტიური უმრავლესობა სულსა დაფავს და საშუალება არა აქვს ისარგებლოს იმ მდიდარი რესურსებითა და კულტურით, რომელიც დაგროვილია. ქვეყანაზე უმუშევრობა ყველაზე დიდ უბედურებას წარმოადგენს მოწინავე ქვეყნებისათვის. ამ მდგომარეობიდან არ არის სხვა გამოსავალი გარდა მოწინავე მუშებთან მტკიცე კავშირისა, რომელთაც გავლილი აქვთ მძიმე, მაგრამ ერთად ერთი სერიოზული სკოლა, როგორიც არის ფაბრიკა, საფაბრიკო ექსპლოატაცია, საფაბრიკო გაერთიანება—სხვა გამოსავალი არ არსებობს. ამ კავშირს, ჩვენა ვხედავთ პოლიტიკურად, ჩვენ მას ვხედავთ სამხედროს, ჩვენ განვიცადეთ იგი ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე უძძიმეს დღეებში. 1921 წელში ამ კავშირს ჩვენ პირველად განვიცდით ეკონომიურად. ამ მხრივ ჩვენ ჯერჯერობით ცუდად და ძლიერ ცუდად დავაყენეთ ეს საქმე. ეს აშკარად უნდა ითქვას, უნდა დავინახოთ ეს ნაკლი, იგი არ უნდა მივჩქმალოთ. მთელი ძალლონე უნდა მივმართოთ მის გამოსწორებისათვის, უნდა გვახსოვდეს, რომ აქ არის ჩაყრილი ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველი. მუშათა კლასისა და გლეხობას შორის ურთიერთ-დამოკიდებულების სისწორით დასამყარებთად შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ ორი გზა—რადგან იმ შემთხვევაში, თუ ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარი მსხვილი მრეწველობა მოახერხებს რომ გლეხობამ მოამარაგოს ნაწარმოებთა საკმაო რაოდენობათა ე. ი. მეტით ვიდრე წინედ და ამნაირად შესძლებს მოაწესრიგოს გლეხთა მიერ შემოსულ სამეურნეო და სამრეწველო ნაწარმოებთა დამოკიდებულება—მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდება გლეხობა, მხოლოდ მაშინ შეიგნებს იგი, რომ ეს ახალი წყობილება უკეთესია კაპიტალისტურ წყობილებაზე.

თუ ამ საკითხს მსოფლიო მაშტაბით ავიღებთ—მაშინ ეს პირობა უკვე აშკარად არსებობს ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებული და [illegible] მსხვილი მრეწველობა, რომელსაც შეუძლია მთელი მსოფლიო უზრუნველჰყოს ნაწარმოებთა მარაგით—უკვე არსებობს დედამიწის ზურგზე, მაგრამ მისი გამოყენება სხვანაირად არ შეუძლიანთ თუ არა ზარბაზნებისა, ყუმბარებისა და სხვა სამხედრო იარაღების დასამზადებლად. ასეთმა წარმოებამ უდიდეს გამარჯვებას მიაღწია 1914—1918. წლებში, როდესაც მრეწველობა ომისათვის მუშაობდა, მან კაცობრიობა მოამარაგა იმდენად, რომ ჩვენ აღმოგვაჩნდა 10,000,000 მოკლული და არა ნაკლები 20,000,000 დასახიჩრებული. გამარჯვებულ ქვეყნებში, სოციალიზმისადმი ყველაზედ მტრულად განწყობილ ხალხის წრიდან გაისმის ყველაზე მეტი ხმა, რომელნიც გარკვევით ამბობენ: ქვეყანაზედ რომ არ ყოფილიყვნენ ეს ბოროტი ბოლშევიკები, ძლიერ საეჭვო იქნებოდა ერთი ასეთი ომის კვლავ დაშვებაო. ამას ამბობენ ცოტად თუ ბევრად მდიდარი ქვეყნების წარმომადგენლები. აი რაზედა მუშაობდა ეს მდიდარი მოწინავე და მსხვილი მრეწველობა. იგი გამოყენებულ იქმნა დასახიჩრებული ხალხის ფაბრიკაციისათვის და მას დროა ღარ დარჩა რომ თავისი ნაწარმოებით მოემარაგებინა გლეხობა. თქვენ მაინც უფლება გაქვთ სთქვათ, რომ მსოფლიო მაშტაბით ასეთი მრეწველობა არსებობს. დედამიწის ზურგზე არსებობენ ქვეყნები, რომელთაც აქვთ ისეთი მოწინავე და მსხვილი მრეწველობა აქვთ, რომლებიც უცბად მოამარაგებენ ასეულ მილიონ ჩამორჩენილ გლეხობას. და ჩვენ ამას საფუძვლად უდებთ ჩვენს ანგარიშებს.

მიწადმოქმედ გლეხისა და მუშის შორის არ შეიძლება არსებობდეს სხვა ეკონომიური კავშირი გარეშე ვაჭრობისა და საქონლის გაცვლა გამოცვლისა. აი—რაში მდგომარეობს საქმის არსებითი ჯამი. განაწერის გადასახადით შეცვლა, აი—რაშია დედააზრი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისა. ეს დედააზრი სრულიად უბრალოა. თუ არ არსებობს კარგად მოწყობილი მსხვილი მრეწველობა, რომელსაც უცბად შეუძლიან დააკმაყოფილოს გლეხის მოთხოვნილება, მაშინ სხვა გამოსავალი არ არის. მუშათა და გლეხთა კავშირისათვის, ამ მძლავრი კავშირის თანიხთანობითი განვითარებისათვის არ არის სხვა გზა—გარეშე ვაჭრობისა. სხვა გამოსავალი არ არსებობს. აბსოლიუტურმა აუცილებლობამ ჩვენ ამ გზამდე მიგვიყვანა და სწორედ ამაშია საფუძველი და არსებითი მხარე ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკისა. ისეთ ეპოქაში, როდესაც მთავარი ყურადღება მიპყრობილი ჰქონდა პოლიტიკურსა და სამხედრო ამოცანებს, ჩვენ მაშინ არ შეგვეძლო არ მოვქცეულიყავით უბრალოდ. ვისწრაფოდით რა წინ, ჩვენ ვიცოდით რომ ამ ავანგარდს შევინარჩუნებდით. იმ უდიდესი გარდაქმნების დარგში, იმ დიადი საქმის დროს, რომელიც ჩვენ გავაკეთეთ სამი წლის განმავლობაში—ჩვენთვის უზრუნველყოფილი იყო მუშათა და გლეხთა კავშირი—უბრალო პოლიტიკურის და სამხედრო ალტყინებით, იმიტომ, რომ ყოველმა გლეხმა იცოდა—და გრძნობდა, რომ მის წინააღმდეგ

დგას მისი საუკუნოებრივი მტერი — მემამულე, რომელსაც ასე თუ ისე ეხმარებიან სხვა პარტიების წარმომადგენლები და ეს კავშირი სწორედ ამიტომ იყო ასე მტკიცე და დაუმარცხებელი. ეკონომიურად ეს კავშირი სხვა საფუძველზე უნდა შეიქმნას. აქ არსებითად კავშირის ფორმები უნდა შეიცვალოს. თუ კომუნისტური პარტიის, პროფესიონალური კავშირის, ან სხვა, ვინმე პარტიის თანაგრძნობამ ვერ შეამჩნია ასეთი კავშირის საფუძვლისა და არსებითი ფორმის აუცილებლობა მით უფრო უარესი მისთვის. ასეთი შეუმჩნევლობა რევოლიუციის დროს — დაუშვებელია.

კავშირის ფორმებისა და გარეგანი მდგომარეობის განვითარების შეცვლის აუცილებლობა გამოწვეულია მით, რომ პოლიტიკური და სამხედრო კავშირის გაგრძელება შეუძლებელი იყო ეკონომიურ დარგში და ისიც მაშინ, როცა ჩვენ არ გამოგვაჩნია მსხვილი მრეწველობა, როცა იგი განადგურებულია ომისაგან და განადგურებულია ისე, როგორც არც ერთ ქვეყანაში. და საზოგადოდ მრეწველობა ჯერაც ხომ არ ამდგარა თვით უმდიდრეს და გამარჯვებულ ქვეყნებშიაც კი. მუშათა და გლეხთა კავშირის ფორმისა და არსებითი შინაარსის გამოცვლა აუცილებელი შეიქმნა. ჩვენ პოლიტიკურსა და სამხედრო ეპოქაში უფრო ღრმად შევტოპეთ, ვიდრე ამის ნებას გვაძლევდა მუშათა და გლეხთა ეკონომიური კავშირი. ჩვენ ასეც უნდა მოვქცეულიყავით, რადგან მტრის დასამარცხებლად სავა გზა არ იყო. და ჩვენ გვქონდა უფლება რომ ასე მოვქცეულიყავით. ასე მოვქეცით და დავამარცხეთ ჩვენი მტერი, ხოლო ეკონომიურ ნიადაგზე ჩვენ განვიცადეთ მთელი რიგი დამარცხებები. და ჩვენ სრულებითაც არ უნდა გვეშინოდეს აძისი აღიარება, პირიქით მხოლოდ მაშინ ვისწავლით გამარჯვებას, როცა ჩვენ არ შეგვეშინდება საკუთარი დამარცხებისა და ნაკლის აღიარებისა, ჩვენ პირდაპირ შევხედავთ ჭეშმარიტ სინამდვილეს, თუნდაც იგი სინამდვილე ყველაზედ უმწარესი იყოს. სამხედრო და პოლიტიკურ სფეროში ჩვენ შეგვიძლიან ვიამაყოთ ჩვენის დამსახურებებით. ისინი შევიდა ისტორიაში, როგორც მსოფლიო მონაპოვარი, რომელიც კვლავ გამოჩნდება ყველა დარგში. მაგრამ ეკონომიურად კი — საანგარიშო წლის განმავლობაში ჩვენ დავდექით ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზაზე და ამ მხრივ ნაბიჯი წინ გადავდგით. ამავე დროს კი, ამ დარგს ჩვენ ძლივს-ძლივობითა ვსწავლობთ და აქ მოგვდის შეუდარებლად ბევრი შეცდომები.

მივიხედავთ რა უკან ჩვენ გავითვალისწინებთ წარსულის გაკვეთილს, რომელიც იყო საუკეთესო, მაღალი და დიდებული, რომელსაც ჰქონდა მსოფლიო მნიშვნელობა; მაგრამ ამ გაკვეთილს არ შეუძლიან გადასწყვიტოს ის ეკონომიური მნიშვნელობის ამოცანა, რომელიც ჩვენ თავსა გვაქვს მოხვეული განადგურებული ქვეყნის პირობებში, პირობებში — რომლებიც ჩვენგან მოითხოვს, რომ შევისწავლოთ ის ეკონომიური კავშირი, რომელიც ამ ჟამად საჭიროა და აუცილებელი. ეს ეკონომიური კავშირი არის ვაჭრობა... ვაჭრობა კომუნისტისათვის. ეს ფრიად უსიამოვნო აღმოჩენა კომუნისტისათვის. მაგრამ თუ ვიხელმძღვანელებთ უსიამოვნებებით, მაშინ ჩვენ დავეცემით იმ თრთქმის სოციალისტების დონემდე, რომელნიც ჩვენ — თქვენთან ერთად ბევრჯერ გვინახავს დროებითი მთავრობის დროს.

მათგვარ სოციალისტებს ჩვენს რესპუბლიკაში აღარა აქვთ ავტორიტეტი. ჩვენი ძალა კი ძუდამ იმაში მდგომარეობდა რომ ვიცოდით სინამდვილის ფხიზელი ალდოს აღება და არ გვეშინოდა რამდენად უსიამოვნო არ უნდა ყოფილიყოს იგი სინამდვილე ჩვენთვის. რამდენადაც მსოფლიო მაშტაბით არსებობს უაღრესად განვითარებული მსხვილი მრეწველობა, იმდენად უდავოა შესაძლებლობა სოციალიზმზე უმეშვეოდ გადასვლისა. და ამ ფაქტს ვერავინ უარჰყოფს, როგორც ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ეს მრეწველობა ან სულსა ჰღაფავს უმოქმედობითა და თვით უმდიდრეს და აყვავებულ გამარჯვებულ სახელმწიფოებში ჰქმნის უმუშევრობას, ან და მუშაობს მხოლოდ იმიტომ, რომ დაამზადოს ყუმბარები ხალხის გასაჟლეტად.

და თუ ჩვენ, რომელნიც ამ ჩამორჩენილობის დროს შეველით რევოლიუციაში, თუ ჩვენ არ გაგვაჩნია ასეთი განვითარება, მაინც არ დავეცემით სულით. ჩვენ ვქმნით უმჭიდროეს კავშირს, ჩვენ გადავალთ უფრო უმძიმეს სამუშაოზე იმიტომ, რომ სწორია ის გზა, რომელზედაც ჩვენა ვდგევართ. ეს ხალხთა მასსების შეკავშირების გზა უეჭველად ერთად ერთი გზაა, რომელზედაც მუშისა და გლეხის შრომა იქნება შრომა საკუთარის თავისთვის და არა ექსპლოატატორისათვის.

და ამისი განხორციელება დღევანდელს პირობებში შეიძლება მხოლოდ იმ ეკონომიური კავშირით, რომელსაცა ჰქმნის მეურნეობა. აი, რითია გამოწვეული ჩვენი უკან დახევა, აი, რატომ ვიყავით იძულებული რომ დაგვეხია სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ, დაგვეხია კონცესიებისაკენ, დაგვეხია ვაჭრობისაკენ. უაზისოდ ჩვენ შესაფერ კავშირს ვერ დავამყარებთ გლეხობასთან, იმ განადგურების ნიადაგზე, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით. უამისოდ ჩვენ მოგველის ხიფათი იმისა, რომ რევოლიუციის მოწინავე რაზმი იმდენად შორს და ღრმად შეიჭრება წინ, რომ იგი სრულიად ჩამოსწყდება გლეხთა მასსებს. ამ რაზმსა და გლეხობას შორის გაწყდება სიმტკიცის ჯაჭვი და ეს იქნება დაღუპვა რევოლიუციის.

და სწორედ ამ მოვლენას უნდა ვადევნოთ ყველაზედ მეტად ფხიზელი თვალყური. უპირველეს აქედან გამომდინარეობს საფუძველი იმისი, რასაც ჩვენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ვუწოდებთ. აი, რამ გვათქმევინა ერთსულოვნად რომ ამ პოლიტიკას ჩვენ გავატარებთ სერიოზულად და დიდის ხნით, მაგრამ არა საბოლოოდ, როგორც ეს სამართლიანად იყო შენიშნული. ეს პოლიტიკა გამოწვეულია ლატაკურის მდგომარეობით, განადგურებით, ჩვენი მსხვილი მრეწველობის უაღრესად დანგრევით, გამოწვეულია იმ პერიოდით, როდესაც არ შეგვიძლიან საკუთარი მსხვილი მრეწველობის აღდგენა.

მე ნებას მივცემ ჩემ თავს მოგახსენოთ ზოგიერთი ციფრები, საიდანაც აშკარად დაინახავთ, რომ რამდენადაც ძნელი არ უნდა იყოს ჩვენთვის ეს პოლიტიკა, რაძდენადაც ბევრი შეცდომები არ უნდა გვქონდეს (და ჩვენ ძლიერ ბევრი შეცდომები გვქაგვს) ძაინც საქმე ყინ ძიდის.

ამხანაგებო, მე ხელთ არა მაქვს ჩვენი შინაგანი ვაჭრობის განვითარების დამამტკიცებელი საბუთები, მე ვფიქრობ მოვიყვანო მხოლოდ ცნობები ცეკავშირის აღებ-მიცემობის შესახებ, ცნობები სამი თვის მოქმედებისა. აი, ეს ცნობები: სექტემბრის განმავლობაში ცეკავშირის საღებ-ძიცემო ბრუნვა გამოიხატა ერთ ძილიონ მანეთში — ოქტომბრის განძავლობაში — სამი მილიონი მან. ნოემბრის განმავლობაში — ექვსი მილიონი მანეთი. ეს ციფრებიც თუ ძათ ავიღებთ, როგორც აბსოლიუტურ ციფრებს, ძლიერ ძცირეა, უმნიშვნელო; ეს უნდა ითქვას პირდაპირ მიტომ, რომ ამ ძნოვ ჩვენთვის საზიანოა ილიუზიების შექმნა. ეს ციფრები მცირეა, ლატაკური, ძაგრამ იმ გარადგუოების პირობებში, რომლებ ძიაც ჩვენ ვიმყოფებით, ეს ციფრები უეჭვოდ ღაღადებენ იმის ძესახებ, რომ წინსვლა მაინც არის, ეს ისეთი ციფრებია, რომ ჩვენ ამ ეკონომიურ საფუძველს შეგვიძლიან ჩავებლაუქოთ.

მიუხედავად ჩვენ მიერ ჩადენილ ძრავალიცხოვან შეცდომებისა, ჩვენა ვართ პროფკავშირებიც, კომუნისტური პარტიაცა და მმართველი აპარატიც, ჩვენ ვრწმუნდებით იმაში, რომ შეგვიძლიან ამ შეცდომებისაგან თავის დაღწევა და თანისთანობით ჩვენ უკვე ვიცილებთ ამ ძეცდომებს, ჩვენ მივდივართ იმ გზით, რომელიც აღადგენს ურთიერთობას მიწის ძეურნეობასა და ძრეწველობის შორის, აღადგენს რათაც არ უნდა დაჯდეს იგი. ჩვენ უნდა, ავწიოთ საწარძოვო ძალები, ვიდრე შეუძლებელია მსხვილი წარმოების აღდგენა ეხლანდელ საფეხურზე. ჩვენ უნდა მივაღწიოთ გაძარჯვებას, ძაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ აქ სულ სხვა ტემპია, ორმ აქ სხვანაირი ძდგომარეობაა, რომ აქ უფრო ძნელია გამარჯვების ძიღწევა, ვიდრე ჩვენ ამ გამარჯვებას ვპოულობდით სამხედრო და პოლიტიკურ დარგში.

ამ დარგში ჩვენ არ შეგვიძლიან ისეთის აღტკინებით სიარული, — ისეთის ნახტომებით და ისეთის ტემპით აქ არ შეიძლება რისიძე გაკეთება. აქ სხვანაირია დროის ძიმდინარეობა, ძას ათეული წლები ეჭირვება. აი, რამდენი დრო დაგვჭირდება ეკონომიურ ომში გამარჯვებისათვის, და ისიც ძაშინ, როდესაც ჩვენის მეზობლებისაგან ვიღებთ არა დახმარებას, აოამედ მტრობას. ეს გზა კი სწორია, გზა რომელზედაც აუცილებლად დადგებიან დანარჩენი სახელმწიფონიც. ჩვენ დავიწყეთ სვლა ამ სწორ გზაზე. ძხოლოდ საჭიროა, რომ ყოველი ნაბიჯი დეტალურად აიწონოს. გავითვალისწინოთ და გაძოვიანგარიშოთ ყველა ჩვენი მცირედი შეცდომებიც კი, და ძაშინ ჩვენ მივაღწევთ ჩვენსას.

(დასასრული იქნება)

მეურნეობის აღორძინებასთან და კავშირებელი პარტიის მოკრიბი საკითხები.*)

პირველად ყოვლისა ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ სახელმწიფოს უახლოესი საჭიროებანი. მე უკვე ვსთქვი: ძნელზე უძნელესია კომუნიზმის დაძყარება იმ ქვეყანაში, სადაც ორჯერ დაეცა პურის მოსავალი და ხუთჯერ კი შემოსავალი ძოეწველობიდან. ეს სი ძნელე გამოიხატება იმ ნივთიერ სიძნელეში რომელსაც ეხლა განიცდის პროლეტარული სახელმწიფო. პირველი საჭიროება და სიძნელე არის პურის უქონლობა. მთელ რუსეთში, გარეშე უკრაინისა და ეხლანდელ შიმ მილობისა. (შიმშილობის ვარაუდი ჩვენ არ შეგვეძლო) ჩვენ გაზაფხულზე ვიანგრიშეთ 240 მილიონი ფუთი პური. ჩვენ კი ვიცით, რომ დღემდე სასურსათო და საფრქვავზე გადასახადით, სათესლე სესხით და საქონლის გადაცვლით მთელ რესპუბლიკაში, უკრაინით ერთად, შეგროებულია 173 მილიონი ფუთი. ცხადზე უცხადესია, რომ პურის ბალანსში ჩვენ უდიდესი დანაკლისი გვაქვს. ეს უნდა დაედოს საფუძვლათ იმ ზომებს, რომლებიც ჩვენ უნდა ძივიღოთ. სად უნდა ვეძებოთ დანაკლისი? ამაზე მე ქვემოთ მოგახსენებთ. ეხლა კი მიგითითებთ მეორე სფეროზე, — ფულზე. სახელმწიფოს დეფიციტს, რომელიც გამოიხატა 230 მილიონ ოქროს მანეთში ჩვენ ვფარავთ ემისიებით. რა არის ემისია? ეს არის იმავე ბაზრიდან მიღებული ხარკი, რომელსაც მოითხოვს სახელმწიფო, ეს არის რამდენიმეთ სხვა ფორმაში გაძოხატული გადასახადი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასეთი დეფიციტით ძესადგენათ ჩვენ იძულებული ვიქნებოდით გაგვენახევრებია ჩვენი დაწესებულებები. საჭიროა ფული და პური, ძაგრამ საიდან შეიძლება ძათი შოვნა? თუ ვილაპარაკებთ რეალურათ ამისათვის არსებობს ორი თუ სამი საშვალება. პირველია რუსეთის სახალხო ძეურნეობის გაეშე, — უცხოეთიდან ძიღება. ჩვენ ბევრი გავაკეთეთ ამ გზის გასახსნელად, ჩვენ წავედით ვალების ცნობაზეც. საუბედუროთ დღემდე ჩვენ არ გვაქვს არავითარი რეალური შედეგები ამ უცხოეთის ბაზრიდან. საზღვარგარეთიდან ძატერიალურ ღირებულებათა დენა მოსალოდნელია მხოლოდ ერთი ფორმით, — თუ ჩვენ ნაღდზე ოქროს ფულით ვიყიდით. ძაშასადამე ერთის მხრით ეს წყარო ჩვენთვის სრულიად დაკეტილია, მეორე მხრით კი თითქმის მიუწდომელია, იმიტომ რომ ოქროს ძარაგით და მისი საზღვარგარედ გაზიდვის საშვალებით პურის მიღებაზე ჩვენ ვერ წავალთ.

ეს იქნებოდა მიზანშეუწონელი პოლიტიკა და ამიტომ მისი წარმოებაც არ შეიძლება. ძაშ რა გზას უნდა დავადგეთ? მიუხედავათ ყოველგვარ თეორიულ ძოსაზრებისა, პურის შოვნა შეიძლება მხოლოდ სოფელში გლეხისაგან, ახალი იძულების მიყენებით. შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ჩვენ

---

*) იხ. „მოამბე“ № 26.

ისეთი პოლიტიკა, რომელიც გვაჩვენებს, რომ დადაკლისის მისაღებად ჩვენ უნდა დავადგეთ ახალ იძულებას, მაგრამ ეს ეხლა შეუძლებელი და გაუგებრიელებელია. დაგვრჩა ერთი გზა; დანაკლისის ბაზრიდან ანაზღაურება. სახელმწიფო საჭიროებას ჩვენ მივყევართ გლეხობასთან ახალ ხელშეკრულების ახალ პირობებთან. გლეხობას რომ პრინციპიალურად არ შესძლებოდა მიეცა პროლეტარიატისათვის მისი სახელმწიფოს არსებობის სახსარი,—მაშინ ჩვენს წინაშე წამოიჭრებოდა თავისი მნიშვნელობით ძალა უფლების შენარჩუნების პრობლემა. სინამდვილეში კი საქმე ასე არ არის.

რევოლიუციონერების და მარქსისტებისაგან, რომლებმაც შეისწავლეს გლეხობის წვრილ საკუთრების პირობებში პროლეტარულ ძალაუფლების პრობლემები,—ჩვენ ვიცით რომ გლეხობას არავითარი საბუთი არა აქვს ამჯობინოს ბურჟუაზიულ მთავრობის ან ბურჟუაზიულ საზოგადოების ჩარჩული სესხი პროლეტარულ სახელმწიფოს სესხს. ჩვენ პროლეტარული სახელმწიფო, ყველაზე უფრო იაფი ვართ გლეხობისათვის. რასაც ჩვენ ვიღებთ გლეხობიდან სასურსათო გადასახადის სახით,—ე. ი. 240 მილიონ ფუთი ბური და ის 6 დღე უფასო შრომის ბეგარისა, რომელიც ჩვენ მას დავადევით, ყველა ეს ეხლა შეადგენს 3—4 ოქროს მანეთს, და ეს მაშინ, როდესაც მეფის მთავრობის დროს გლეხის ყველა გადასახადი უდრიდა 10—11 მანეთს. საკითხი მხოლოდ იმაშია, შეგვწევს თუ არ ჩვენ საკმარისი ნივთიერი ძალა ვსძლიოთ ამ გლეხურ ბაზარზე სხვა მეტოქე ორგანიზაციები. ეს პირველი და მეორე,—შევისწავლეთ თუ არა ჩვენ ისე მოვიხმაროთ ყველაფერი ის, რაც ჩვენ გვაქვს,—რომ მართლაც განვახორციელოთ ეს გაჯარჯვება და კონკურენცია. რაც შეეხება საშუალებებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს,—ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ პროლეტარულ სახელმწიფოს პოტენციალური ძალა, მისი პოტენციალური სოციალური ძლიერება გრანდიოზულია. ოქტომბრის მოხაპოვარის შედეგები მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზაციულად შეერთებულ მუშათა კლასს, მუშათა კლასს როგორც ერთეულს აქვს, თავის განკარგულებაში ნაციონალიზაციით აღებული მრეწველობის, ტრანსპორტის ტყეების, შახტების და ბადნების უდიდესი სიმდიდრენი, პოლიტიკურ ძალაუფლებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ პროლეტარულ სახელმწიფო ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ ბაზარზე არის ყველაზე მსხვილი კაპიტალისტი. საკითხი მხოლოდ იმაშია, რომ ეხლა განსაკუთრებით ცოტაა ყველა ამ სიმდიდრისა და ძალების რეალური ღირებულება. ჩვენი მსხვილი მრეწველობის ნაყოფს თითქმის მთლად ნთქავს მრეწველობის სხვა დარგების მოთხოვნილებანი.

ამიტომ ჩვენ ძალიან ცოტა რამე მოგვეპოება გლეხის ბაზარზე გასატანად. მაგრამ თუ ჩვენ ეხლა გლეხს მის პურში ვერ მივცემთ ჩვენი მრეწველობის ნაწარმოებს, მაშინ ის არ იქნება დაინტერესებული გადავიდეს მომხმარებელ მეურნეობაზე. ის გადასწყვეტს დაამუშაოს იმდენი, რამდენიც საჭიროა მისი და მისი ოჯახისათვის და ყველავითარი რეგლამენტაცია სოფლის მეურნეობისა, ყველავითარი დეკრეტები დათესის გადიდების შესახებ ვერ იქნება მედგებს მაზე თუ არ იქნება რეალური იმედი, რომ ზედმეტი კონა მას საშვალებას მისცემს სადღაც რაღაცა შეიძინოს. თუ ჩვენ არ ავიღებთ ჩვენს ხელში საქმის მსვლელობას და მივცემთ გლეხს საშვალებას ამ ზედმეტი კონით შეიძინოს საქონელი კერძო მწარმოებლისაგან,—მაშინ კერძო მრეწველობა სახელმწიფო მრეწველობაზე მაღლა დადგება. ამის დაშვება კი არ შეიძლება. კაპიტალისტური ერთობის აღდგენის საშიშროება შეიქნა მაშინ, როდესაც ჩვენ ნება დავრთეთ პურით ვაჭრობისა. ამ კაპიტალისტური ნასკვნს ჩვენ ვერ გადავლახავთ შტიკებით, მისი ძლევა შესაძლებელია მხოლოთ ვაჭრობის შესწავლით. გლეხისათვის ნაციონალურ მრეწველობის პროდუქტების მისყიდვა და აგრედვე მისგან შესყიდვა იმისა რაც ნაციონალურ მეურნეობას და საბჭოთა სახელმწიფოს აკლია, ამის კარგათ ცოდნა,—აი რა არის მთავარი ამოცანა. ძალზე საშიშარი იქნება, თუ ჩვენ დიდხანს ვივლით ამ გზით, მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენ არ გვაქვს პური და ნედლი მასალა, გლეხს კი ეს აქვს,—როდესაც ჩვენ გვაქვს ჩვენი მრეწველობის პროდუქტების ერთი ნაწილი, როდესაც ჩვენ ვერ მივცემთ გლეხს ვერაფერს გარდა ჩვენი პროდუქტების მარაგის მისყიდვის უნარისა, სხვა გზა მსხვილი მრეწველობის აღსადგენათ, სხვა გზა სოციალიზმისაკენ. ჩვენ არა გვაქვს. ჩვენ უნდა აღვადგინოთ მთელი რიგი იმ დაწესებულებებისა, რომლებსაც ჩვენ თითქმის სამუდამოთ გამოვეთხოვეთ.

ჩვენ უნდა შევითვისოდ ისეთი ტექნიკა, რომ შევსძლოთ პროლეტარულ სახელმწიფოს მთელი კაპიტალის, ფულის და ნედლი მასალის მარაგის დაუხარჯველად კაპიტალისტურ ბაზრის კონტროლი და მისი აღება ჩვენი ფიზიზელი ყურადღების ქვეშ. იქნება თუ არა ეს დაშორება კომუნიზმის ამოცანებიდან? არა! პირიქით, მარქსის სიტყვით, ბაზარზე გასამაგრებლად საჭიროა მისი კანონების შეთვისება, საჭიროა მიხვედრა, რომ ის საზომი, აღმრიცხველი და ფასების დამწესებელი აპარატები, რომლებიც შექმნა უაღრესად განვითარებულმა კაპიტალიზმმა და რომლებიც ჩვენ დავანგრიეთ იმდენად, რამდენად ეს აპარატი ჩვენს წინააღმდეგ იყო მომართული,—ეს აპარატები ეხლა ხელთ უნდა ვიგდოთ, რომ მათი დახმარებით შევძლოთ კონტროლი გავუწიოთ იმ კერძო კაპიტალისტურ ბაზარს რომელიც ეხლა იქმნება. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ არის სახელმწიფო ბანკის ბირჟის და სხვა შემოღება. ჩვენ რომ ეს არ ვქნათ,—ეს ორგანიზაციები შექმნილი მდგომარეობის გამო, თავისთავად დაარსდებოდენ და ეს კი იქნებოდა თვით მსვლელობა, რადგან ეს იქნებოდა ჩვენ მიერ უარის თქმა ყოველ გვარ კონტროლზე, რომელიც ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულიც ვართ, განვახორციელოთ როგორც პროლეტარულმა სახელმწიფომ. მეორე მხრით ჩვენ ახგარიში უნდა გავცეთ ჩვენ თავს იმაში, რომ ჩვენ უნდა შევქნათ ეს ბანკები, ბირჟები

და ყოველგვარი საკრედიტო საზოგადოებები იმისათვის, რომ სახელმწიფოს შეძლება მიეცეს თავისი ძალების პროლეტარულ სახელმწიფოსთვის და პროლეტარიატისათვის სწორედ განაწილებისა, ამ კონტროლის განსახორციელებლად, რომელსაც ანხორციელებენ იმავე საზომის აპარატებით ბურჟუაზიულ მოგებისათვის მორგანი და როკფელერი. შევძლებთ ჩვენ ამის გაკეთებას? ჩვენ უსათუოთ უნდა შევასწავლოთ ეს.

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს რომ ჩვენ ვიცით ვაჭრობა. ვაჭრობის ცოდნა ნიშნავს იმას. რომ მუშათა კლასს უნდა შეეძლოს საქონლის მარაგის განაღდება ისე, რომ მიიღოს თავისი მრეწველობის აღსადგენათ საგლეხო ბაზრიდან რაც შეიძლება მეტი საქონელი. ეს კი შეიძლება მხოლოდ იმ მეთოდების, აპარატების და ინსტრუმენტების ცნობით, რომლებიც რა საზიზღარი სახელიც არ უნდა ჰქონდეს, მაინც აუცილებლად ჩნდებიან. თავდაპირველად გასაკეთებელი საქმე არის მრეწველობის და გლეხობის დაკავშირება. საერთოთ პოლიტიკური თვალსაზრისით ჩვენ აქაც უნდა გვაინტერესებდეს ორი საკითხი. პირველი საკითხი მსხვილი მრეწველობის ფორმის შესახებ. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ეხლა ჩვენში ორგანიზაციის ყველაზე უფრო მოსაწონი ფორმა არის ტრესტები და ამ მხრივ აქ ისმება საკითხი ცენტრისა და ადგილობრივ ორგანოების შესახებ. ჩემის აზრით ეს საკითხი ამნაირად უნდა წყდებოდეს: ჩვენ შეგვიძლიან აღვადგინოთ ჩვენი მსხვილი განსაზოგადოებული წარმოება მხოლოდ მისი დაკავშირებით სოფლის ბაზართან. ამიტომაც წარმოების ყოველგვარი მოწყობა რომელიც ხელს უშლის მის არსებულ პირობებთან შეფარდება შეთანხმებას და გლეხობასთან დაკავშირებას,—მიუხედავათ გამომწვევ დოგმებისა, მავნებელია. რამდენათ შეიძლებენ ადგილობრივ წარმოების მოგვარებას გლეხთა მოთხოვნილებებთან შეფარდებით, იმდენად პოლიტიკაც, რომელიც ცდილობს აღადგინოს ძველი მავნებელი მეთაურობა, ცდილობს ჩამოაშოროს ადგილობრივი ორგანოები დაწესებულებათა გამგებლობას. ეს კი მავნებელია არა მარტო ადგილობრივი ან და ამა თუ იმ საგალმასკომის ინტერესების მიხედვით, ასეთი მდგომარეობა შორდება ეკონომიური პოლიტიკის ზოგად მიმართულებას. მეორე ფრიად მნიშვნელოვან საკითხს შეადგენს რეალიზაცია. აქ რეალური საკითხი მდგომარეობს იმაში—შეიძლება თუ არა რეალიზაციის გლეხობის გარეშე ჩატარება.

განსაზოგადოებულ წარმოებას შეადგენს პროლეტარიატის ძირითადი ავლადიდება. ამ განსაზოგადოებულ წარმოებას, რომელიც სახაზინო მარაგზე იმყოფება, ჩვენ ვაძლევთ მთელ ჩვენ ნედლს და სათბობ მასალას, პურს და ფულს, რაც კი ჩვენს განკარგულებაში იმყოფება. აქაც ისმება საკითხი: შეუძლიან კი ამ წარმოებას გამოტანოს ბაზარზე პროდუქტების რომელიმე ნაწილი. საქმე იმაშია თუ როგორ უნდა მოეწყოს რომ ჩვენმა ნაწარმოებმა სოფლის ბაზარზე დასცეს კერძო ნაწარმოები და ის უცხო ნაწარმოებიც, რომელიც შეიძლება შემოგვიპაროს ჩვენ უცხოეთიდან ამა თუ იმ გზით: სწორედ ამიტომ [illegible] საჭიროებას შეადგენს დაწესებულებათა უფლება თავისუფალ ბაზარზე პროდუქტების გაყიდვისა. ლაპარაკიც ხომ მეტია იმაზე, რომ სახელმწიფო ვერ მისცემს ამ დაწესებულებებს საჭირო რესურსებს. რომელი ნაწილი უნდა გავიდეს პროდუქტებისა თავისუფალ ბაზარზე წარმოების ადორძინების და ნაწარმოების მუდმივი აწევის პროცესის დასახმარებლად? ჩვენ რომ ეხლა მოვინდომოთ ამის გარკვევა, ჩავვარდებით სტატისტიკურ ფანტაზიაში, რომელსაც არა ერთხელ მოუტანია ჩვენთვის აუწერელი ზარალი. ამიტომ, რეალიზაციის შესახებ საკითხი ჩვენთვის, როგორც არა მეურნეთათვის. არამედ როგორც პოლიტიკოსებისათვის უნდა გადაწყდეს იმ მხრივ, რომ ის ვერ გამოიჭედება რაიმე გეგმაში, რომელიც უფრო იქნება მეთაურობის ჯიუტობა ვიდრე კომუნისტური სათნოება.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა არ არის ნათელი გზა და გატეკეცნილი პროსპექტი. ამ პოლიტიკაში მეტია წინააღმდეგობანი ვიდრე ჩვენს ძველ პოლიტიკაში. მე არ შევჩერდები ახალი პოლიტიკის იმ უცილობელ შედეგებზე. რომელიც მოსჩანს ბიუჯეტის შექმნაში, რაც შეიძლება მეტი დაწესებულებების სახაზინო მომარაგებიდან მოხსნაში, მთელ რიგ საბჭოთა დაწესებულებების დახურვაში და სხვა. მე არ ვილაპარაკებ იმის შესახებ, რომ ოქროს მანეთით ანგარიშზე გადასვლა, რაც აუცილებელი შედეგია ახალი პოლიტიკისა, საშიშროებას შეიცავს.

მას მივყევართ ჩვენი ბონების როლის შემცირებისაკენ, ბონების როლის შემცირება კი ნიშნავს იმ ხარკის, იმ გადასახადის შემცირებას, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ბაზრიდან ამ ბონების როგორც საქაჩავის დახმარებით. ამის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენ გვინდა გამობრძმედილი ფინანსიური პოლიტიკა, რომელიც ანგარიშს გაუწევდა თავის თავს იმაში, რომ დღეს დღეობით ჩვენ ძალზე ღარიბები ვართ ფულის ნიშნების ემისიის მიტოვებისათვის. ეს მტკიცე პოლიტიკა შეძლებდა ყოველგვარ სახელმწიფო ხარჯების სასტიკ შემცირებას, შემოიღებდა მტკიცე გადასახადებს და მოითხოვდა სახელმწიფოს სამსახურის ანაზღაურებას. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მთელი, ჩვენი ძალა მოვაგროვოთ ერთ მძლავრ ფაქტორად, მოვაქუჩოთ ის მანეთი ერთ ფრონტზე, ერთ დასაყრონობ ნიადაგზე „საბრძანებლო მაღლობებზე“. ეს საბრძანებლო მაღლობები არის მიწის ტრანსპორტის და გარეშე ვაჭრობის ნაციონალიზაცია და თუ გვაქვს სახელმწიფოს ფაბრიკა ზოგადები, მაშინ ხელში გვაქვს, ყველა პოზიციის გასაღებები. მაგრამ ამ „საბრძანებლო მაღლობებთან“ ერთად უნდა ვიცოდეთ შემოსატევ ადგილების ნაღმებით გამაგრება და მისი საარტილერიო ცეცხლით დაცვა.

ჩვენ შეგვიძლიან ეს ვქნათ მხოლოდ ჩვენს ხელში კაპიტალისტურ ტექნიკის ძირითადი აპა-

რატების მოქუჩებით, რომლებიც მათ ხელში ჩვენდა საწინააღმდეგოთ იარაღი იყო, რომელიც ჩვენ დავამსხვრიეთ ისე, რ-გორც მეფის ძველი ჯარი.

ჩვენ უნდა აღვადგინოთ ამა თუ იმ ფორმით ეს აპარატები და მიუშვიროთ ისინი ჩვენს მტრებს.

კომუნისტებმა ამ დამოკიდებულებათა განვითარების პროცესის მსვლელობაში უნდა შეინარჩუნონ და დაიკავონ ახალ ახალი პოზიციები. მათ ყველაფერი უნდა თავის გავლენას დაუმორჩილონ, ყველაფერს უნდა შთაბერონ თვისი ორგანიზაციული ძალა, უნდა დაეყრდნონ იმ სოციალურ ძლიერებას, რომელსაც წარმოადგენდა რუსეთის პროლეტარული რევოლიუცია 1917 წ. ოქტომბერში.

უნდა ვსთქვათ ერთი: მსოფლიო რევოლიუციის თვალსაზრისით, ამ პოლიტიკას შეუძლიან გამოიწვიოს მეტად ბევრი გართულებანი და ყოყმანობა და ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ავუხსნათ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს ამ მანევრის დიდა აზრი, რომელმაც საშვალება უნდა მისცეს პროლეტარიატს შეინარჩუნოს კავშირი გლეხობასთან იმ დრომდე, სანამ ის დაუკავშირდება დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს, რომელსაც ხელთ აქვს ყოველგვარი საწარმოვო საშუალებანი. შეცვლა რუს გლეხობასთან კავშირისა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატთან კავშირით, ახალ ეპოქას განავითარებს როგორც მსოფლიო რევოლიუციაში, აგრეთვე ჩვენ პოლიტიკაშიც. ვიდრე არ არის ეს სამეურნეო კავშირი, რომელიც მოგვცემდა განსაზღვრულ მატერიალურ ღირებულებას მრეწველობის აღსადგენით, თითეულმა ევროპის პროლეტარმა უნდა გაიგოს და გაიგებს კიდეც, რომ დაკავშირება გლეხობასთან, ჩვენი ძალაუფლების შენარჩუნება არა მარტო პროლეტარიატზე დაყრდნობით, არამეთ გლეხობის თანაგრძნობითაც,—არის პოლიტიკა მიზანშეწონილი და რამდენად მას მივყევართ მეურნეობის ნამდვილ აღორძინებისაკენ, პირველი შედეგები, პირველი თვეები ეკონომიური პოლიტიკისა კი გვაჩვენებენ, რომ გამოცოცხლების დასაწყისი ნამდვილად არის,—იმდენად განვითარება მრეწველობისა საბჭოთა პროლეტარიატის რუსეთის სახელმწიფოში არის ამ პოლიტიკის უმაღლესი მიმართულება. თუ ჯერ კიდევ არსებობს რაღაცა, ის მოისპობა მაშინვე, როდესაც ჩვენ გავადიდებთ ნახშირის და თუჯის ამოღებას. არაფრით არ შეიძლება ჩვენის მხრით დაზარალდეს მსოფლიო რევოლიუციის განვითარების მსვლელობა ისე როგორც მეურნეობის ნგრევის გაგრძობით. არაფერს არ შეუძლიან მისი დაჩქარება ისე, როგორც იმას, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა მოგვცემს ჩვენ ახალ დასაყრდნობ პუნქტებს მრეწველობის აღსადგენად. ამიტომ მე მგონია, რომ ჩვენმა კონფერენციამ ხელახლა უნდა დაამტკიცოს ამ ახალი პოლიტიკის აუცილებელი დებულებანი. მან უნდა აღნიშნოს თავის რეზოლიუციაში ახალი პირობების ახალი ფაქტები, უშიშრათ შეხედოს ამ ახალ პირობებს და პროლეტარიატის სოციალურ ძლიერებაზე, მის ოქტომბრის მონაპოვარზე დაყრდნობილმა დაამტკიცოს, რომ არა მარტო გარეშე ფრონტებზე,—არა მარტო კლასიურ მტრებთან პირდაპირ შეტაკებაში, არამედ მანევრებშიც. სადაც ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ყოველნაირ პროლეტარულ რევოლიუციის უსაშინელეს მტრებზე,—გლეხის წვრილ ბურჟუაზიულ საკუთრებაზე, წვრილ ბურჟუაზიულ გლეხურ ფსიხოლოგიაზე,—რომ ამ მანევრებშიც გამარჯვება პროლეტარიატს დარჩება.

ადმინისტრატიულ ერთეულთა განყოფილებაში.

(შემდეგი *)

საქართველოში კომუნისტური ძალა-უფლების დამყარების დასაწყისშივე გორის მაზრის ფარგლებში ფაქტიურად დაარსდა ცალკე ადმინისტრატიული ერთეული, სამხრეთ-ოსეთის ოლქის სახით, და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს დაწესებით. საქართველოს რევკომმა ამ ორგანოს თავის დადგენილებით მაზრის რევკომის უფლებები მიანიჭა და იმავე დროს სათანადო მოვალეობანიც დააკისრა. ხოლო, ვინაიდან საზღვრები ამ ერთეულისა გარკვეული არ იყო, მათი გარკვევა, საქარ. რევკომის დადგენილებითვე, შინ. საქ. სახ. კომისარიატს ანუ, უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, მის „ადმინისტრ. ერთეულთა განყოფილებას“ დაევალა. საკითხი. როგორც წინად, ეხლაც მეტად რთული აღმოჩნდა, ამ სირთულეს ქმნიდა ორი გარემოება: ა) საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო წინასწარი მასალის უქონლობა,—არსად, რესპუბლიკის არც ერთს დაწესებულებაში ეს მასალა არ მოიპოვება და ბ) სამხრეთ ოსეთის რევკომმა წმინდა ადმინისტრატიული გადამიჯვნის საკითხი გორის მაზრის ფარგლებში გარდააქცია ოსთა ეროვნულ-ტერიტორიალურ პრობლემად—აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების შესახებ ოსთა მოსახლეობისათვის და, მაშასადამე, ამით მან ავტონომიური ოსეთის ტერიტორიის საკითხიც დააყენა. ამ გვარად, კვლავ წამოიჭრა ის საკითხი, რომლის შესახებ არა ერთხელ გამოიტანა თავისი დადგენილებანი ჯავასა და ცხინვალში გამართულ ეროვნულ ყრილობებმა. ცხადია, ასეთს პირობებში განყოფილება იძულებული იყო ეზრუნა როგორც სათანადო მასალის შეკრეფაზეა ისე ფართოთ შეხებოდა ადმინისტრ. ერთეულის საკითხს ე. ი. გასცილებოდა გორის მაზრის ადმინისტრატიულ ფარგლებს და დაყენებული საკითხი განეხილა იმ მაშტაბით, რა მაშტაბითაც მას ოსთა მოსახლეობის წარმომადგენლობა აყენებდა.

რაკი, საკითხის სირთულისა გამო, მოსალოდნელი იყო, რომ მისი ასეთი თუ ისეთი გადაჭრა საკმაოდ დაიგვიანებდა, ამიტომ საჭირო შეიქმნა რაიმე დროებითი სავალდებულო დადგენილება

*) იხ. „მოამბე“ № 23

მიეღო კომისარიატს სახელმძღვანელოთ, რათა ამ გზით მოესპო მას ის კონფლიქტები, რომელნიც მუდმივ ხდებოდა სამხრეთ-ოსეთის რევკომისა და სხვა ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოთა შორის საზღვრების გაურკვევლობის ნიადაგზე.

ბევრნაირ გაუგებრობასა და არასასურველ ექსცესებს ჰქონდა ადგილი დღიდან სამხრეთ-ოსეთის რევკომის დაარსებისა. კომისარიატს ხშირად მოდიოდა საჩივრები, საიდანაც სჩანდა აშკარა გადამეტება ხელისუფლებისა ხსენებული რევკომის მხრით. აღვნიშნავთ რამდენიმე მაგალითს:

ა) ოქონისა და მეჯვრისხევის რაიონში გაჩნდა ორი პარალელურათ მომქმედი მილიცია—გორის სამაზრო და სამხრეთ-ოსეთის რევკომებისა; ბ) სამხრეთ ოსეთის რევკომმა დაიქვემდებარა უფლებრივ ისეთი რაიონები, რომელნიც ან სულ არ შედის გორის მაზრის ფარგლებში (ზემო ხევის, მონასტერის, რეხულის საზოგადოებანი დუშეთის მაზრაში და ჩასავალის სოფ. საზოგადოება რაჭაში) ან თუ შედის,—თავის გეოგრაფიულ მდებარეობით ოსთა მოსახლეობის მიერ დაკავებულ ტერიტორიას არ ეკუთვნის (მაგ. სოფლები სატიხარი, ჭარები, სნეკვი და ხელჩუა); გ) გამოცხადება დაბა ცხინვალისა, რომელიც ქართული სოფელია, ქართულ სოფლებით გარშემორტყმული სამხრეთ-ოსეთის რეზიდენციათ; დ) ქართულ რევკომების ზოგ ალაგას გაუქმება სამხ.-ოსეთის რევკომის ცალმხრივი განკარგულებით და მათ ნაცვლად ოსურ რევკომების დაწესება (მაგ. სოფ. ნულში, ავნევში, დვანში და სხ.) ე) ხელისუფლების გავრცელება იმავე რევკომის მიერ მთელს ცხინვალის რაიონზე და სხვათა შორის ცხრა ისეთს სოფელზე, რომელნიც წმინდა ქართული სოფლებია თავისი ეტნოგრაფიული შემადგენლობით და სხ. და სხ.

ყველა ამ უკანონო მოქმედებათა დასაბამი და მიზანი ერთია—ტერიტორიალური გაფართოვება ოსთა მუდმივი ბინადრობისა. ამ ტენდენციამ ოსებში კაი ხანია თავი იჩინა და ნამეტურ 1905 წლიდან, როდესაც მათ შორის ეროვნული მოძრაობა გაჩნდა, რომელიც დასაწყისში სასტიკად განსაზღვრულ სახეს მოკლებული იყო, ხოლო 1917 წლიდან უკვე საკმაოდ გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბდა. ჯავის და ცხინვალის ეროვნული ყრილობები ამ მოძრაობის ერთი თვალსაჩინო ასახვაა. ცდა ოსურ ანბანის, ლიტერატურის შექმნისა და ბოლოს ეროვნული ტერიტორიის მოპოვებისა, თუნდაც სხვის ხარჯზე,—ეს დაიდვა მიზნათ ოსთა ინტელიგენციამ და რამდენიმეთ კიდეც მიალწია ამ მიზანს. გაიჩინეს ანბანი, რომელსაც საფუძვლათ დაედვა რუსული ანუ უფრო სწორი იქნება ვსთქვათ, ორიგინალური, თავისებური—ოსური თითქმის არაფერი აცხია—მეტად უხეშათ გადმოღებული ვარიანტია რუსული ანბანისა, გადმოთარგმნეს უცხო მწერლობიდან ზოგი რამ, გამოსცეს გაზეთი და სხ. რაც შეეხება ტერიტორიას, ოსთა მოძრაობა ამ სფეროში მეტად თვალსაჩინოა. ამ მოძრაობის გაცხოველებას, გარდა ეროვნული მოტივებისა, ხელს უწყობდა მათი მეტად შევიწროებული ეკონომიური მდგომარეობა—ჩაკეტილი მთებში, ვიწროებში, ოსობა კაი ხანია განიცდის უკიდურეს მიწის შიმშილს და ამიტომაც იგი ეძებდა ყოველ მარჯვე დროს თავის ადგილებიდან დაძრულიყო, მთებიდან ბარში ჩამოსულიყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოსთა აჯანყებები 1919 და 1920 წლებისა უფრო ეკონომიურს ვიდრე ეროვნულს ნიადაგზეა აღმოცენებული. ოზუნგი ეროვნულად განწყობილ ოსურ ინტელიგენციისა—ერთის მხრით „გორამდი“, მეორეს მხრით „მცხეთამდი“—ოსთა მასსებისათვის, რომელნიც მწირ, მთიან ადგილებშია მოქცეული და, მაშასადამე, სახნავ სათეს ადგილებს მოკლებულია, მეტად მომხიბლავი იყო, რომ ისინი არ ამოძრავებულიყვნენ. და აკი ამ მოძრაობამ მიწა-წყლის გაფართოვების ნიადაგზე სტიქიური ხასიათი მიიღო მენშევიკების რეჟიმის დროს.

მოძრაობა ამ მიმართულებით დღემდი გრძელდება. და აკი მოგახსენეთ, კონფლიქტებიც მრავალია ოსთა ცხოვრების ხელმძღვანელ ხელისუფლებისა და სხვა ადგილობრივ ხელისუფალთა შორის. და, რა თქმა უნდა, შინ. საქ. კომისარიატი გვურდს ვერ აუქცევდა ამ მოვლენას, და როგორც ვსთქვით, მან, ვიდრე მწვავე საკითხი საზღვრების შესახებ დეტალურათ დამუშავდებოდა სპეციალურ კომისიასა და განყოფილებაში და შემდეგ მთავრობის სანქციას მიიღებდა, სახელმძღვანელოთ, ერთნაირი წესიერებისა და უფლებრივი მდგომარეობის ჩამოსაგდებათ ოს-ქართველთა მოსახლეობის რაიონებში, გამოსცა წ. წ. 20 ივლისს დროებითი დადგენილება, რომელიც, კომუნისტური პარტიის პლენუმის, პოლიტბიუროს და ორგ.-ბიუროს წ. წ. 26 აგვისტოს დადგენილების თანახმად, საბოლოოდ ამ დრომდი, ვიდრე ოსთა საკითხი საბოლოოდ არ გადაწყდება სათანადო ხელისუფლების მიერ.

ამ დადგენილებით, ადმინისტრატიული ერთეული სამხრეთ-ოსეთისა შეიკავდა შვიდს ყოფილ სოფლის საზოგადოებას გორის მაზრაში—ორტევის, ბელოთის, ყემულთის, ყორნისის, როკის, ჯავის და წუნარისას. ადმინისტრატიულ ცენტრათ ამ ერთეულისა გამოცხადებულია სოფ. ჯავა. საკითხი ორტევის, ბელოთის და წუნარის საზოგადოებებიდან ცხრა წმინდა ქართულ სოფლების გამოყოფის შესახებ, თანახმად გორის სამაზრო რევკომის დასკვნისა, დატოვებულია ღიათ საზღვრების გამომრკვევ კომისიის მუშაობის დამთავრებამდი და ეს სოფლები: ვანათი, ბელოთი, აწერის-ხევი, საცხენეთი, ხაშორა, ხადურიანთ-კარი, დვანი, ზემო-ავნევი და ქვემო-ავნევი დატოვებულია ცხინვალის რაიონში.

გარეშე ამ დადგენილებისა, თავის მხრით ადმ. ერთ. განყოფილება და მასთან დაარსებული სპეციალური მუდმივი კომისსია განაგებდა მუშაობას ოსთა საკითხის შესახებ. აქაც საქმესთან ახლო გაცნობამ დაარწმუნა განყოფილება მასში, რომ ცნობები, 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით შეკრებილი, დღესდღეობით სახელმძღვანელოთ ვერ გამოდგება. გარდა ამისა, რომ ამ აღწერას მრავალი ნაკლი ახლდა თან თავიდანვე, რაიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, დღეს იგი უკვე არ

შეეფერება სინამდვილეს სხვა მოსაზრებითაც— 1917 წლიდან შესამჩნევი ცვლილება მოხდა საზოგადოთ საქართველოს მცხოვრებთა გადასვლა-გადმოსვლის წყალობით ერთი ადგილიდან მეორეში და კერძოთ ოსთა მოსახლეობაში, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი 1920 წლის აჯანყების დროს თავიანთ ადგილებიდან აიყარა და ზოგი ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა და ზოგი კიდევ სხვაგან გაიხიზნა. ვინაიდან სტატისტიკურ აღრიცხვას უაღრესი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხში, განყოფილებამ ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. პირველყოვლისა ძველი სტატისტიკური აღწერის მიხედვით მან შეადგინა ცენტრ. სტატ. სამმართველოს დეტალური ნუსხა ოსთა მოსახლეობისა მთელს საქართველოში, რომელშიც ნაჩვენებია ყოველ სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა და ამასთანავე გამოყვანილია პროცენტები როგორც ოსთა, ისე ქართველ მკვიდრთა. იმავე ცენტრალურ სამმართველოს მან ამავე მიზნით მიმართა წინადადებით ახალ სტატისტ. აღწერის მოხდენის შესახებ ოსთა მოსახლეობისა ყველგან ყველა მაზრებში, სადაც კი ისინი ცხოვრობენ. განყოფილებამ ამასთანავე ერთნაირ დირექტივად მისცა სამმართველოს,—არ შეეტანათ ოსთა სიებში მცხოვრებთა ის ნაწილები, რომელთაც მხოლოდ ოდესმე ჰყოლიათ წინაპრები ოსთა შთამამავლობისა, ამ ჟამად კი ისინი სრულიად გაქართველებულნი არიან,—ენით, სარწმუნოებით, ზნე-ჩვეულებით კულტურით და სხ., რომელნიც სრულიად არაფრით არ განსხვავდებიან ქართველთაგან, ჭირსა და ლხინში მათთან არიან და, საზოგადოთ, ყოველ სფეროში და საკითხში ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-კულტურულ ორიენტაციას იზიარებენ. ეს ის ელემენტები არიან, რომელნიც თვით თავიანთ თავს ქართველებათ აღიარებენ, როდესაც მათ წინაშე სდგას საკითხი ეროვნულ თვითგამორკვევისა. ეი ამათ შესახებ უთითებდა განყოფილება სტატ. საამმართველოს და აფრთხილებდა არ დაეშვათ ახალ აღწერის დროს ის წინად აშკარად შემჩნეული ტენდენცია, რომელიც, რეალური მდგომარეობის მიხედვით, ვერაფრით ვერ გამართლდება.

ჯერ კიდევ განყოფილებას არ დასრულებია მუშაობა და მასალათა შეკრება ოსთა საკითხის შესახებ, როდესაც ცხინვალიდან ჩამოვიდა ოსთა დელეგაცია და მთავრობის წინაშე სამხრეთ-ოსეთის ოლქისათვის კვლავ ავტონომიური უფლების მინიჭებაზე დააყენა საკითხი. ახეთივე შუამდგომლობით ოსთა დელეგაციამ მიმართა საქ. კომუნ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და რუსეთის კომ. პარტ. ცენტრ. კომიტ. კავკასიის ბიუროს („კავბიუროს").

შუამდგომლობის შინაარსი ისეთივე ხასიათისა იყო, რომელსაც ჩვენ უკვე გაგეცანით—ცხინვალის რეზიდენციათ გამოცხადება და, მაშასადამე, მთელ მისი რაიონის სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე მიწერა და აგრეთვე რაჭა-შორაპან-დუშეთის მაზრების იმ რაიონებისა, რომელნიც ოსთა წარმომადგენელობას წინადაც თავის [illegible] ზღვრებში შეჰქონდა.

(შემდეგი იქნება).

საქართველოს საქალაქო აღწერის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების აღწერა ჯერ კიდევ მენშევიკების მთავრობის დროს იდგა დღიურ წესრიგში, მაგრამ ამისთვის სხვა და სხვა მიზეზების გამო შეუძლებელი გახდა აუცილებელი ზომების გატარება.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ეს კითხვა კიდევ წამოიჭრა ბევრ საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე, რომლებისათვისაც ძალიან ძნელი იყო განეხორციელებინათ თავის სამეურნეო გეგმები, ელემენტარულ სტატისტიკურ მასალის უქონლობის გამო.

ტფილისის ქალაქის რევკომმა ორჯერ (1921 წელი. ივლისში და ნოემბერში) გამოიტანა დადგენილება ქალ. ტფილისის მცხოვრებთა აღწერის შესახებ.

ვინაიდან მეტისმეტი საჭირო ხდებოდა სხვა და სხვა გვარი ცნობები, რომლებიც ეხებოდენ საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთ პროფესიონალური ნაციონალური, ხნოვანება, სქესობრივი შემადგენლობა, წერა-კითხვის ცოდნა-უცოდინარეობის საკითხი, ქვეშევრდომობა და სხვა) და აგრეთვე ბინების, სახლების (საბინაო საკითხი), სახალხო კომისარიატები და სხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები არა ერთხელ მიმართავდენ და მიმართავენ სასტატისტო ორგანიზაციებს სხვა და სხვა, ცნობებისათვის. სტატ. ორგანიზაციები მოკლებულნი იყვნენ ეპასუხებიათ ამ მეტათ საჭირო კითხვებზე, შესაფერ ახალ მასალების უქონლობის გამო. უკანასკნელს და ყველაზე უფრო საყურადღებო და სანდო მასალებს იძლევა-1917 წლის აღწერა, მაგრამ, როგორც იცით, დღემდის დამუშავებულია მხოლოდ სასოფლო-მეურნეობის აღწერით მიღებული ცნობები, ხოლო ქალაქის შესახებ ცნობები სრულიად არ არის დამუშავებული და ამ აღწერის პროგრამაც ძალიან შეკვეცილი იყო, ვინაიდან მას ქონდა მიზნათ სასურსათო ორგანოების საჭიროებათა დაკმაყოფილება. ამ მასალების (ისედაც არა სრულის) დამუშავება არ არის საინტერესო, ვინაიდან იმ ხნიდან მოყოლებული ძალიან ბევრი ცვლილება განიცადა საქართველოს ქალაქებმა. რომ შესაძლებელი ხდებოდეს დასკვნებით სარგებლობა, ცენტრ. სტატ. სამმართველო თავის ყოველდღიურ მუშაობაში თვითონაც გრძნობს დიდ საჭიროებას სხვა და სხვა ცნობებისას, რომელიც ეხება რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრებას. აღწერის აუცილებლობის დამტკიცება არ არის საჭირო, ვინაიდან საბჭოთა წეს-წყობილება და საბ-

ჭოთა მეურნეობა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ყველა თვის ნაბიჯებს და მუშაობას ამყარებს სახელმწიფო საზოგადო-სამეურნო ცხოვრების სწორ აღრიცხვაზე. საბჭოთა რუსეთში იყო რამდენიმე საერთო სახელმწიფოებრივი აღწერა დაწყებული 1918 წლიდან, აღწერა მოხდა ჩვენს მეზობელ რესპუბლიკაში ადერბეიჯანში ა. წ. ზაფხულზე (მოხდენილი იქნა საერო სახელმწიფო-აღწერა, როგორც სამეურნეო, ისე საქალაქო ჯერ კიდევ გაზაფხულზე) ცენტრ. სტატ. სამართველომ აღძრა შუამდგომლობა საქართველოს რევკომის წინაშე აღწერის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ მაშინ, მიზან შეწონილათ იქნა ცნობილი დროებით გადაგვედო ეს კითხვა.

ამ ჟამად ეს კითხვა კიდევ წამოიჭრა. ცენტრ. სტატ. სამართველოს შეკითხვაზე აღწერის თავის დროულობის შესახებ, ყველა კომისარიატებმა გამოსთქვეს აზრი საქართველოს საერთო აღწერის აუცილებლობის და გადაუდებლობის შესახებ.

მათთვე გაეგზავნა პროგრამმა აღწერის დასკვნისათვის და უკვე მიღებულია მათთგან პასუხი.

ცენტრ. სტატ. სამართველო ფიქრობს, რომ უფრო მიზანშეწონილია პირველ რიგში მოხდენილი იქნეს საქალაქო აღწერა, ხოლო შემდეგ სასოფლო სამეურნეო და ეს შემდეგი მოსაზრებით: 1. ქალაქის მცხოვრებნი აღწერილი უნდა იქმნეს, ყველაზე უფრო ნაკლებ მოძრაობის დროს რასაც ჩვეულებრივ აქვს ადგილი დეკემბერში, თებერვალში. 2. რესპუბლიკაში საკმაო ძალების,-განსაკუთრებით ხელმძღვანელ პერსონლის, უყოლობის გამო შეერთება ამ ორ დიდ აღწერისა არ იქნება მიზანშეწონილი და შეიძლება არსებითად ავნოს საქმეს. ამიტომ არის, რომ ცენტრ. სტატისტ. სამართველო ფიქრობს მოახდინოს არა უგვიანეს თებერვლისა 1922 წ. საერთო საქალაქო აღწერა, ხოლო დაწყებული 1922 წლის აპრილიდან-სასოფლო-სამეურნეო აღწერა. მაგრამ როგორც საქალაქო, ისე სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის საჭირო სამზადისი აქედანვე, რისთვისაც საჭიროა სანქცია რევკომისა ამ აღწერის დასაწყებისა და ცენტ. სტატ. სამართველოს მიერ გამოთხოვილ კრედიტის გახსნის შესახებ.

ცენტრ. სტატისტ. სამმართველომ სცნო რა აუცილებლივ ქალაქის მცხოვრებთა აღწერა, წარუდგინა ხარჯით აღრიცხვა და პროგრამმა აღწერისა საქართველოს რევკომს, რომელმაც უკვე დაამტკიცა აღწერის პროგრამმა, და დაავალა მომავალ ცენტრ. სტატ. სამმართველოს საჩქაროთ შეუდგეს ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. აღწერის ხარჯები გამოანგარიშებულია დაახლოებით 600 მილ. მან.

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქის მცხოვრებთა აღწერა თავის პროგრამით ისახავს მიზნათ საერო დიდსა და ფართო ამოცანებს, ვიდრე შესწავლა მცხოვრებთა ვიწრო დემოკრატიულ შემადგენლობისა, ასეთი სიფართოე პროგრამისა გამოწვეულია შემდეგი უახლეოეს გარემოებით.

სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრების შესწავლა გულისხმობს გამორკვევას-მეს ორ ძირითად ელემენტებისა: ობიექტის, მ. ი. სოციალურ ეკონომიურ ფუნქციების მრეწველობა, ვაჭრობა, არა სარეწაო მოქმედება და სხვა და სუბიექტის, ე. ი. ფიზიკური მატარებლის ამ ფუნქციებისა, მცხოვრებნი. ამიტომ მხოლოდ ერთი ელემენტის გამორკვევას არ შეუძლია მოგვცეს ჩვენ საჭირო სურათი სახელმწიფო ცხოვრებისა. მხოლოდ პარალელურ შესწავლას სუბიექტისა და ობიექტისა შეუძლია გააშუქოს ეს ცხოვრება და დაახლოებით მოგვცეს სრული სურათი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

სტატისტ. პრაქტიკა უდგება ამ კითხვის გადაჭრას ორგვარად: იმ სახელმწიფოებში, სადაც საფაბრიკო-საქარხნო ცხოვრება განვითარებულია, სტატისტ. აპარატები ცენტრში და ადგილობრივ მოწყობილია და ცოდნაც არის საერთოდ მაინც სამეურნეო ცხოვრებისა, ფორმებისა და ტეხნიკურ ერთეულების (წარმოებების) გეოგრაფიულად განაწილების შესახებ, როგორც ძირითადი ერთეული აღნუსხვისა, გამორკვევამ სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებისა (მაგ. ამერიკა, გერმანია) მიიღო განსაზღრული დიფერენციაცია საქმის ტეხნიკისა და პროგრამის შესწავლის საშუალებებსა და მეთოდებში. აქ მცხოვრებთა დემოკრატიულ შემადგენლობის გამორკვევასთან ერთად ჩვენ ვხვდებით დამოუკიდებელ სამრეწველო აღწერას.

საქართველოს მოუხდება თავის პირველ საერთო სახელმწიფოებრივ აღწერაში ჯერ-ჯერობით მოახდინოს გამოცალკეება ქალაქის სოფლებიდან და მათი შესწავლის დროს ერთ პარაგრაფში მოათავსოს დემოგრაფია და ეკონომიკა. ამის სასარგებლოთ ამბობენ შემდეგი უახლოესი მოსაზრებანი: საქართველოს, როგორც სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას, სუსტათ განვითარებულ სამრეწველო ცხოვრებით, გამომრკვევითი მასალების და იმავე განსაზღვრულ ლიტერატურულ მემკვიდრეობის უქონლობის გამო, შეუძლია საერთო საქმისათვის უვნებლათ, პირველ ხანებში დაკმაყოფილდეს საერთო ქალაქის მცხოვრებთა უსრულო პროგრამის აღწერით; სრულიად საკმარისია რუსეთის სატახტო ქალაქების აღწერის მასშტაბით. შეგროვილი და დამუშავებული მასალა შეიძლება გახდეს საფუძველი მთელ რიგ სოციალურ გამორკვევათა, რომელიც აუცილებელია ქვეყნის სახელმწიფო და კომუნალურ საჭიროებისათვის. ასეთი წესი, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, არა თუ ხელს უწყობს საერთო წინმსვლელობას სოციალურ გამორკვევათა საქმეში, არამედ ამცირებს შესამჩნევად მატერიალურ ხარჯებსაც.

აღწერის უახლოეს პროგრამმას შეუძლია მოგვცეს ჩვენ: 1) დემოგრაფიული შემადგენლობა შესავსებია: (სქესი, ხნოვანება, ეროვნება, დაბადების ადგილი, ოჯახური შემადგენლობა, ხელობა და სხვა), 2) ბინის პირობები, 3) ქალაქის სამეურნეო ცხოვრება და 4) სახლთაღმშენლობა.

ამ კითხვების გასაშუქებლად გამორკვევის პროგრამას თავის ტეხნიკური გამოხატულება შეუძ-

ლია მიიღოს ბარათებში: პირადი, საბინაო, სამფლობელო, რომლებიც აქვთ აღრიცხვის ერთეულად: მცხოვრები, ბინები, სამფლობელო.

დასახულ ამოცანების ყველაზე უფრო სრულად შესრულებისათვის, მუშაობის ტეხნიკა შეძლებისამებრ უნდა მიუახლოვდეს ფოტოგრაფიულ გადაღებას, რაც გულისხმობს შესასწავლ ობიექტის ყველაზე უფრო ნაკლებ მოძრაობის მომენტს. ყველაზე უფრო ეს შეეხება აღრიცხვის ისეთ ერთეულს, როგორიც მოსახლეობაა, რისთვისაც აუცილებელია აღწერა მოვახდინოთ წლის ისეთ დროს, როცა მცხოვრებნი შედარებით ყველაზე უფრო მიკრულია თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს: ქალაქებში ასეთი დროა ჩვეულებრივ დეკემბერი—თებერვალი და ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს საყოველთაო აღწერას უნდა ჰქონდეს ადგილი არა უგვიანეს 1922 წლის თებერვლის თვის ბოლოსა. საქართველოში ეს მით უმეტესს საჭიროა, რომ მისი ქალაქები მჭიდროთ დაკავშირებულნი არიან ფიზიკურად სოფლებთან, და აღწერის დაყოვნებას შეუძლია დაამახინჯოს სურათი, მიწის მუშაობის დაწყების გამო.

შემდეგი მთავარი მომენტი, რომელიც ხელს უწყობს აღწერის კარგათ ჩატარებას, არის საალწერო პერსონალისთვის საკმაო გამომრკვევითი მასალების პირად ყოფნა. ამ მიზნით (განსაკუთრებით მსხვილ ქალაქებში) გენერალურ აღწერის წინ ხდება წინასწარი აღწერა, რომელსაც აქვს მიზნათ მოკლე გამოანგარიშება მცხოვრებთა რიცხვისა და შემოწმება გეგმების, რუქების და სხვა მასალის, ვინაიდან ასეთ აღწერას სჭირდება დიდი თანხა, ამიტომ ცენტ. სამმართველო ფიქრობს, შეიძლება დავკმაყოფილდეთ იმ მასალებით,—თუმცა არასაკმაო—რომელიც მოიპოვება ადგილობრივ რევკომებში.

აღწერა, როგორც ამას აქვს ჩვეულებრივი ადგილი, უნდა იქნეს ერთ დღეს ჩატარებული, ეს უნდა გაგებული იქნეს იმ აზრით, რომ შეკრებილი ცნობები, უნდა იქნეს მიკუთვნილი (при наровленъ) განსაზღვრულ დღეს, განმეორებით აღრიცხვის ან და გამოტოვების თავიდან აცილებისათვის. ამასთან შეფარდებით უნდა შემუშავდეს აღწერის მოხდენის ტეხნიკა. აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებელია გამოვიყენოთ ის ძირითადი ორგანიზაციული საშუალებანი, რომელიც შემოღებულია უკანასკნელ დროს პრაქტიკისა და თეორიის მიერ, სახელდობრ რეგისტრაციონული პრინციპი თვითგამოანგარიშებისა (самоисчисления) ამჟამად უარყოფილია ისეთ ქვეყნებშიდაც კი, როგორიც არის გერმანია, და ჩვენ საკუთრით ვდგევართ ამ თვალსაზრისზე.

აღწერის კარგათ ჩატარებისათვის აუცილებელია საბჭოთა მოსამსახურეების ჩათრევა, რაზედაც მიგვითითებს აღწერის პრაქტიკაც.

ეს არის პირველი აღწერა საქართველოში საბჭოთა ძალა-უფლების დროს. და ჩვენ ვფიქრობთ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობის საკითხს მიქცეული ექნება დიდი ყურადღება ქვეყნის ინტერესებისა და მისი [illegible] აღმშენლობისთვის.

ყველა ორგანიზაციები, ყველა პირები დაინტერესებულნი ქვეყნის ეკონომიურ-სოციალურ პირობების გაუმჯობესებით, ვალდებულნი არიან დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს ახალგაზდა სტატისტიკის მიერ დაწყებულ ფრიად მნიშვნელოვან და სასარგებლო საქმეს.

თვით ცხოვრება გვიკარნახებს დაუყონებლივ გავატაროთ ეს სამუშაო.

და ამაში უნდა დარწმუნდენ ხელმძღვანელ ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები.

რ.

ლტოლვილთა ევაკუაციის საკითხი.

საბჭოთა რესპუბლიკებში ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება და ის მოქალაქენი, რომელნიც სამხედრო მოქმედებათა გამო იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ თავიანთი მხარე, ეხლა სცდილობენ დაუბრუნდენ მშობლიურ მხარეს და დაიწყონ ჩვეულებრივი მშვიდობიანი მუშაობა.

მეტად სასიხარულოა ეს გარემოება, რომ შვიდი წლის განმავლობაში თავის მშობლიურ კერას მოწყვეტილი ხალხი კვლავ უბრუნდება თავის მიწა-წყალს და სურს განაგრძოს ახალი შემოქმედებითი მუშაობა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ შეიძლება ამ მოძღვენამ ძალიან ცუდი შედეგები გამოიღოს, თუ ეს საქმე ორგანიზაციულად არ იქნება მოწყობილი.

თითქმის ყოველ-დღე მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ესა და ეს ლტოლვილთა ტალღა დაიძრა იმ ადგილიდან, სადაც დროებით იყო შეხიზნული და ისწრაფის სამშობლო მხარისაკენ. ლტოლვილთა ასეთი მოძრაობა ხშირად თვითნებურია და არ ატარებს ორგანიზაციულ ხასიათს. მაგრამ, ამასთანავე, არის შემთხვევები, როცა ეს მოძრაობა ნახევრად ორგანიზაციულ ხასიათს ატარებს. არის შემთხვევები, როდესაც ლტოლვილთა მასსები გაემგზავრებიან ადგილობრივ ხელისუფლების ნებართვით, მაგრამ თანხმობას არ იღებენ იმ რესპუბლიკების ხელისუფლებისაგან, რომელთა ტერიტორიაზე ან უნდა გაიარონ და ან უნდა დასახლდენ. ასეთი მოძრაობა არსებითად არაფრით არ განსხვავდება უორგანიზაციო მოძრაობისაგან.

თავისთავად ცხადია, ასეთი უორგანიზაციულობა და დაინტერესებულ რესპუბლიკებთან შეუთანხმებლობა პირდაპირ დამღუპველ გავლენას ახდენს ამ ლტოლვილთა მასსებზე და უფრო აუარესებს მათ მდგომარეობას.

ლტოლვილთა მუდმივი თანამგზავრი არის სიმშილის საშინელი აჩრდილი და სხვა და სხვა ეპიდემიური ავადმყოფობანი. ასეთ უორგანიზაციო და სტიქიურ მოძრაობის დროს მრავალი ლტოლვილი ან სიმშილის ან ეპიდემიურ სენის მსხვერპლი ხდება. ამიტომ აუცილებელია, რომ დაუყონებლივ იქმნას მიღებული სათანადო ზომები ასეთ უორგანიზაციო მოძრაობის წინააღმდეგ. მხოლოდ ასეთი ზომების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღების შემდეგ შეიძლება თავიდან ავიცილოთ ის შედეგები, რომლებიც დღემდე თანა-სდევს ლტოლვილთა სტიქიურ მოძრაობას.

აუცილებლად საჭიროა, რომ ევაკუაციის საქმეში ცენტრო-ევაკის და მის ადგილობრივ ორგანოების გარდა (როგორც საქართველოში, ისე ჩვენ მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში) არავინ არ ჩაერიოს ლტოლვილთა გადასახლების საქმის მოწყობაში.

აუცილებელია აგრეთვე, რომ ლტოლვილთა გაგზავნა არ ხდებოდეს დაინტერესებულ რესპუბლიკების ცენტრო-ევაკის წინასწარ თანხმობის და ნებართვის გარეშე.

ხელისუფლების ყველა ორგანოებმა, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ სისწორით უნდა დაიცვან და შეასრულონ ყველა ის დეკრეტები, დადგენილებები და ბრძანებები, რომლებიც ამ საქმის გამო არის გამოცემული მთავრობის მიერ.

თავის სამშობლოსაკენ გამგზავრებული ლტოლვილთა კონტინგენტი მომარაგებული უნდა იყოს აუცილებელ საჭირო საგნებით და სათანადო წესით შემოწმებულ დოკუმენტებით, რადგან ყოველი უწესოდ მიცემული დოკუმენტი შეიძლება მიზეზი გახდეს მთელი ეშელონის მგზავრობის შეფერხებისა.

საჭიროა ჩვენმა მეზობლებმა—საბჭოთა რესპუბლიკებმა და სახელმწიფოებმა საქართველოს ცენტრო-ევაკთან წინასწარ მოახდინონ შეთანხმება ლტოლვილთა გადაყვანის შესახებ, აცნობონ მას მათი გამგზავრების დღე და ადგილი, კონტინგენტის შემადგენლობა, მიმართულების მარშრუტი, ეშელონის უფროსის გვარი და სხ. საჭირო ცნობები.

აუცილებელია აგრეთვე, რომ დიდი ყურადღება მიექცეს სურსათის საკითხს. ეს მეტად მწვავე საკითხია, რომელსაც საქ. ცენტრო-ევაკი მხოლოდ თვისი საშუალებებით ვერ მოაწესრიგებს, ვინაიდან ათი-ათასეული ლტოლვილის გამოკვებისათვის საჭიროა ათასობით ფუთი პური, თუ მხოლოდ და მარტო პურს მივაწვდით. ასე, მაგ. მესოპოტამიიდან სომხეთში უნდა გადასახლდეს 13.000 ლტოლვილი სომეხი; ჩრდილო-კავკასიიდან საქართველოს გზით სომხეთში უნდა გადავიდეს რამოდენიმე ათი-ათასი ლტოლვილი სომეხი. ჩრდილო-კავკასიიდან საქართველოში შემოსვლას ცდილობენ აგრეთვე ბერძნები, განზრახულია აგრეთვე რომ ახლო მომავალში საქართველოს საზღვრებიდან საბერძნეთში გადაასახლონ 40 ათასი მცხოვრები ბერძენი. ამ ციფრებიდან ნათლად სჩანს, თუ რა დიდი რესურსებია საჭირო საქ. ცენტრო-ევაკისათვის, რომ ზემო-ხსენებული კონტინგენტი დააკმაყოფილოს სურსათით.

შესაძლოა გადასახლებულთა კონტინგენტი არ საჭიროებდეს სასურსათო დახმარებას, რადგან მათ თანა აქვთ საჭირო მარაგი, მაგრამ ლტოლვილებს ხომ სულ არაფერი არ აქვთ, ისინი დიდ გაჭირვებას განიცდიან და საჭიროებენ დახმარებას. ამ საქმის მოსაწესრიგებლად საჭიროა, რომ საქ. ცენტრო-ევაკს ჰქონდეს სათანადო სახსარი და რესურსები.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ ის ლტოლვილთა დიდი უმრავლესობა, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გადაიაროს და დიდ დახმარებას საჭიროებს, არიან სომხები და ამიტომ საჭიროა, რომ სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკამ მისცეს საქ. ცენტრო-ევაკს სურსათის საჭირო რაოდენობა.

ვ. კაკაბაძე.

ბორჩალოს მაზრაში

(გაგრძელება. იხ. „მოამბე" № 25)

შულავერის სასურსათო განყოფილების მოღვაწეობა 1921 წ. 16 თებერვლიდან 1 ივნისამდე შემდეგში გამოიხატა: დღეს მას, უკვე აქვს მოწყობილი ცენტრალური სასურსათო საწყობი, ფურნე, სასადილო, ბოსტანი და სახნავ-სათესი მიწები.

რაც შეეხება **სარვანის რაიონს**, წითელი არმიის მოსვლის პირველ ხნობამდე მთელ რაიონში არავითარი, ადგილობრივი ხელის უფლების ორგანო არ ყოფილა. იქ სოფლის რევკომი მოეწყო 24 თებერვალს, მუშაობა გაძლიერებული ტემპით მიდიოდა. მხოლოდ დიდი ნაკლებობა იყო საკანცელარიო ნივთების და ტეხნიკური თანამშრომლებისა. რაიონში მოეწყო, პირველად—მილიცია 25 კაცისაგან. დღეს მილიციის უფროსთან, შტატის შემცირების გამო, მხოლოდ 18 მილიციელია. მილიციას ჯერჯერობით არაფერი მიუღია და ძალიან გაჭირვებული მდგომარეობაში იმყოფებიან. ამიტომ თითქმის გამუდმებით იცვლება მილიციის შემადგენლობა, რაც ცუდ გავლენას ახდენს ადმინისტრატიულ ხასიათის მუშაობაზე. პირველ დღიდანვე დაიწყო მცხოვრებთა განიარაღება, რამაც უმტკივნელოდ ჩაიარა. მცხოვრებლებმა იარაღი თავისი ნებით ჩააბარეს ხელისუფლების ორგანოებს. დღემდე (ე. ი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 31 მაისამდე) შეგროვდა სულ ათასი სამხაზიანი თოფი დიდძალი პატრონებით. თავი მოუყარეს აგრეთვე სამხედრო ნაწილების მიერ მიტოვებულ იარაღსაც. რაც შეეხება ბოროტმოქმედებას, სასტიკის ზომების მიღებით, მოხდა მათი სრული ლიკვიდაცია და მთელ რაიონში სიწყნარე მყარდება.

ბევრ ალაგას დიდი გაჭირვება იყო სურსათ სანოვაგის მხრივ, განსაკუთრებით ღარიბ მცხოვრებთა შორის. შეძლებულებში მოგროვილ იქნა ზედმეტი სურსათი. მაგრამ ეს ისე მცირე აღმოჩნდა, რომ ყველა ვერ დააკმაყოფილა. რაც შეეხება სახალხო განათლების საქმეს იმ ხანებში ამ დარგში არავითარი ზომა არ იყო მიღებული. რაიონში არსებობს 3 სკოლა. განზრახულია გაიხსნას კიდევ 14

სკოლა. არსებული სკოლები საჭიროებენ რემონტს. ახლა საჭიროა სკოლისათვის სასწავლო ნივთები, რომლებიც სრულებით არ მოიპოვება მთელ რაიონში.

რაიონში საბჭოთა აღმშენებლობის სრულ განვითარებას აბრკოლებს ის, რომ სრულებით არ მოიპოვება საკანცელარიო ნივთები; არაა საბჭოთა სასადილო, რაც ხელს უშლის ტეხნიკური ძალების მოწვევას; არაა მთელ რაიონში გამოცდილი მილიციის უფროსი.

ბაშკიჩეთის რაიონში მდგომარეობა, იმავე საანგარიშო ხანის განმავლობაში (ე. ი. 27 თებერვლიდან 1 ივნისამდე) შემდეგი სახით გვეხატება: რაიონის რევკომი სოფელში საააგიტაციოდ და ადგილობრივი რევკომების მოსაწყობად აგზავნიდა პროპაგანდისტებს, მაგრამ პირველ ხანებში სოფლის რევკომებში შეძლებული ხალხი მოხვდა. მხოლოდ შემდეგში, თანდათანობით შეცვლილი იქნა მათი შემადგენლობა უფრო სასურველი პირებით. მთელ რაიონში დიდი გაჭირვებაა სურსათის მხრივ. მარილი, საპონი, ფართალი, ფეხსაცმელი, ნავთი და სხვა, პურზე ხომ ლაპარაკიც მეტია.

პირველ ხანებში მოეწყო მილიცია ხუთი კაცისაგან, შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა 17-18-დე. მუშაკების ნაკლებობის გამო მუშაობა ძალიან შეფერხებული იყო. პირველიდანვე აღრიცხვაზე იქნა აღებული ერბო-ყველის ქარხნები, მთელი ქონებით. ამ საშუალებით სასურსათო კომისარიატისათვის შეძენილი იქნა 1500 ფუთი თუშური ყველი და 300 ფუთი შვეიცარული.

მთელი რაიონი უსკოლოდაა დარჩენილი, მიზეზი მასწავლებელთა უყოლობაა, იყო შემთხვევები ბოროტმოქმედებათა.

ეკატერინენფელდში პირველ ხანებშივე მოეწყო სამეურნეო კომისია, რომელმაც მთელი თვისი ყურადღება მიაქცია სათესლით ღარიბ მცხოვრებთა მომარაგებას. მოხდა სოციალიზაცია წისქვილების, ელექტრონის სადგურის, კონიაკის და არყის ქარხნის და აგრეთვე სხვადასხვა მექანიკური სახელოსნოებისა. დაარსდა 83 კაცისაგან შემდგარი, არტელი რომელიც, ცხენებით ეხმარება ხოლმე ულარიბეს მცხოვრებთ, რომლებსაც ცხენი არა ყავთ. წისქვილებიდან შემოსული ფონდი რიგდება ღარიბებს შორის, მაგრამ ვინაიდან რევკომს სარჩენი ჰყავს 60 ოჯახი, ეს მინდი არ ყოფნის მას და ამიტომ დანაკლისის შესავსებად მიმართავენ შემოწირულებას, გაწერას და სხვ. გაიხსნა კოოპერატივი და მასთან ფეხსაცმლის სახელოსნო; დაიწყო მდ. მაშავერზე ხიდის რემონტი და სხ. მილიციაში მობილიზაციის წესით გაყვანილი იქნენ კოლონისტები 1880 წ. 1902 წლამდე, მაგრამ შემდეგ მაზრის რევკომის ბრძანების თანახმად ისინი დაითხოვეს. მოხდა მცხოვრებთა განიარაღება და მოგროვილი იარაღი გადაეცა ბორჩალოს სამხედრო კომისარს. წითელ არმიელების ნაწილებისათვის რეკვიზიციის წესით შეძენილ იქნა: ფქვილი-127 ფ; თივა 2230 ფ; პური 192 ფ. კართოფილი 138 ფ. და სხ. 23 თებერვლიდან სულ 5,268 ცხენი და საზიდი საშუალებანი სხვა და სხვა ვადით ჩამორთმეულ იქნა და დაურიგდა უმიწაწყლო მცხოვრებთ; საბოსტნო-3 დესეტინა კართოფილიანი 3 დესეტ.-სიმინდიანი 75 დესეტინა. ამას გარდა კიდევ გადაეცა რამდენიმე ათი დესეტინა კართოფილის დასათესად. აღრიცხვაზე იქნა აღებული ყველა სახლი და ყველა ბინა. 40 ბინა გადაეცა მოსამსახურეთ. ბინის საკითხი საერთოდ ძლიერ გამწვავებული იყო.

სარაიონო რევკომების აგვისტოს მოხსენებებიდან შემდეგი ირკვევა: **ვორონცოვკის** რაიონში, აგვისტოს მოახლოვებას მოჰყვა სასოფლო სამეურნეო მუშაობა. ამ მუშაობამ ჩაითრია ყველანი მოსამსახურენიც კი. დაწესებულებაში სიცარიელე გამეფდა. მიმოწერის წინადადებების და სხ. შესრულება ძალიან ძნელი გახდა, რადგან რევკომების წევრები სამუშაოზე იყვნენ და ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, როცა რევკომი იძულებული იყო ხოლმე გაეგზავნა ყანებში თავის უკანასკნელი მოსამსახურე, ან მილიციელი, რათა ყანებში გასული სოფლის რევკომი მოენახა და გადაეცა ქაღალდი შესასრულებლად. მხოლოდ კვირაობით და მაჰმადიანებში კი პარასკეობით შესაძლებელი გახდა რისამე გაკეთება. საკმაოდ დიდი მუშაობა იქნა გაწეული რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად. მოგროვდა რამდენიმე ათი მილიონი ფულად და აგრეთვე სურსათ სანოვაგეც. სასურსათო გადასახადის მოსაკრებად მიღებულ იქნა შესაფერი ზომები. მუშაობას ძლიერ ხელს უშლის წერა-კითხვის უცოდინარობა, რომლის % ძლიერ დიდია. სურსათის ნაკლებობა ძლიერ აფერხებს მოსამსახურეთა მოწვევის საქმეს. მიღებულ იქნა ზომები საბჭოთა სასადილოს მოსაწყობად. არ არის აგრედვე ტანსაცმელიც. ვორონცოვკის რაიონული რევკომი, თავის მოხსენებაში აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ხშირად ატუსაღებენ რევკომის ცნობის გარეშე მათ მოსამსახურეთ რაც ცუდ გავლენას ახდენს ხოლმე რაიონში. ბანდიტიზმი არაა გავრცელებული, მაგრამ მათი გამოსვლების შემთხვევები მაინც იყო. სწრაფად ხდება მათი ლიკვიდაცია. სამკურნალო დარგში, რევკომი იღებს ყოველგვარ ზომებს დახმარების დროზე გასაწევად. მიწის საკითხის მოგვარებისათვის აგვისტოში ჯერ კიდევ არ ჰქონიათ ხელი მოკიდებული. არჩეულია მხოლოდ რაიონული მიწის კომიტეტი და რამდენიმე სოფელში სოფლის კომიტეტი.

სექტემბერში ვორონცოვკის რაიონის მცხოვრებლებმა დაასრულეს ყანებში მუშაობა. მოსავალი საშუალოზე ნაკლები აღმოჩნდა საერთოდ. კართოფილის მოსავალი იყო მხოლოდ საშუალო. საშინლად გაძვირდა შეშა და ეს ძალიან ავიწროებს მოქალაქეთ. ძალიან ავიწროებს რაიონს გადასაზიდი საშუალების ბეგარა. მარტო სექტემბერში მოთხოვილ იქნა 2500 ცხენი. ეს ბეგარა თითქმის

მთლიანად მოიხმარა სამხედრო ნაწილმა და ხშირად მიერეკებიან ცხენებს სანდარას და შულავერს, რაც პირდაპირი აუტანელი ხდება ვორონცოვკის რაიონისთვის

ეკატერინოფელდის რაიონული რევკომი, თავის მოხსენებაში, რომელიც შეიცავს პირველი აგვისტოდან დაწყებული სექტემბრის ბოლო რიცხვამდე მოღვაწეობის ანგარისში, აღნიშნავს რომ მან მთავარი ყურადღება მიაქცია რაიონის ადმინისტრატიული ერთეულებად დანაწილების საკითხს. ამასთანავე მან სამართლიანად დაინახა ეს საკითხი გადაწყვეტილ-მოგვარებული ყოფილიყო თვით მცხოვრებთა წარმომადგენლების მონაწილეობით. კანცელარიაში მოწვეულ იქნენ წერა-კითხვის მცოდნენი. მცხოვრებნი დასთანხმდნენ მათთვის საარჩოს მიწოდებას. ეკატერინოფელდის რაიონმა გაიყვანა ბეგარაზე პირველ აგვისტოდან სექტემბრამდე 1100 ცხენი. აქედან თვით ეკატერინოფელდის კოლონიამ 800, დანარჩენმა სოფელმა კი 300. დღიურად რომ ვიანგარიშოთ ეკატერინოფელდის რაიონიდან გაყვანილ იქნა სულ 2554 ცხენი, ხარკამეჩი კი 1200. ბინის საკითხი აქაც მწვავეა.

ბაშკიჩეთის რაიონი 70 სოფლისაგან შესდგება. რაიონის მოსამსახურენი ძალიან ცუდ პირობებში არიან, ვინც ადგილობრივია მათ კიდევ არა უშავსთ რა, მოსულები კი შიმშილობენ. არა აქვთ ტანსაცმელი, განსაკუთრებით მილიციონერებს. მილიცია მცირერიცხოვანია და ვერ ებრძვის სათანადო ენერგიით ბანდიტიზმს და ავკაცობას. შკოლები ძალიან ცოტაა. პარტიული მუშაობა სუსტია. იაჩეიკა მხოლოდ ბაშკიჩეთში არსებობს. მეცადინობა რუსულადაა და უნაყოფოა, რადგან რუსული არ იციან. დამშეულთა დასახმარებლად დაარსდა კომიტეტი. რამდენჯერმე მოეწყო შაბათობა კურსანტებთან ერთად. ცარცვა და ქურდობა განუწყვეტლივ გრძელდება. საზღვარი ახლოა, საზღვარზე დარაჯი არაა და ამიტომ საქონელს მიერეკებიან ოსმალეთს. თემის რევკომების წევრებს არ მიუღიათ ჯამაგირი. მთელ რაიონში არ იყო მოწყობილი სახალხო სასამართლო; სწავლა განათლების საქმე ცუდათა დაყენებული. სულ 6 შკოლაა, საჭიროა კი კიდევ 10. მიწის საკითხიც სავსებით მოუგვარებელია და ხშირია დავა-საჩივარი. მომუშავე ძალების ნაკლებობაა.

შულავერის რაიონში პურის მოსავალი ცუდი იყო. სათესლე არაა. ხალხი თხოულობს ბაზრის გახნას შულავერში და აშაგასერალის რაიონში. ხშირია ყაჩაღური ბრბოების თარეში. მიღებული ზომების წყალობით, ბრბო აბერბეიჯანის საზღვრებისაკენ მიიმალა. მცხოვრებნი თხოულობენ შკოლების გახსნას. მოსამსახურეთ არ აქვთ ტანსაცმელი. მოეწყო დამშეულთა დამხმარე კომიტეტი. რაიონში აუარებელი ლტოლვილია, გადასახლებლად მიღებულია ზომები. რაიონის ერთ-ერთი დიდი მტკივნეული საკითხია ბინის საკითხი. არაა თავისუფალი შენობა, საჭიროება კი დიდია და საერთოდ მოუგვარებელია ის აპარატიც, რომელიც უნდა განაგებს ამ მწვავე დარგს. მოსავალი ცუდი იყო.

სარვანის რაიონის ოქტომბრის მოხსენებიდან სჩანს, რომ ის მეურნეობა, რომელსაც ამ რაიონში ადგილი ჰქონდა დროებითი აღმოჩნდა. აგვისტო სექტემბრის განმავლობაში ძალიან გავრცელდა მკვლელობა და ცარცვა-გლეჯა. ბრბოს მეთაურმა შესძლო თავისი რაზმის გაძლიერება, ვინაიდან დროზე ვერ იქნა მიღებული გადამწყვეტი ზომები. ადგილობრივი მილიცია მას ვერაფერს უზამს, რადგან ბრბო წარმოადგენ 40 კარგად შეიარაღებული ყაჩაღის გუნდს, მათ განკარგულებაში ტყვიის მფრქვეველიც კი არის.

სამხედრო ნაწილების დაბინავების შემდეგ ძლიერ გაიზარდა ბეგარა და თვის მოსატანად საჭირო შეიქნა მთელი რაიონის გამოყვანა. ასეთი გარემოება ძალიან ავიწროებს მცხოვრებთ და ბევრ დაბრკოლებასა ქმნის ადგილობრივ მცხოვრებთათვის. მთელი რაიონში გავრცელებულია მალარია, წამალი არაა. აფთიაქებში არა აქვთ სასწორი და წამალს, თვალით გაზომილად, აძლევენ. შკოლების საკითხი პირველყოფილ მდგომარეობაშია. საჭიროა მასწავლებლები, სასწავლო ნივთები და სკოლების შეკეთება. სურსათ სანოვაგის მხრითაც ძალიან ცუდი მდგომარეობაა. აპრილის შემდეგ არავის არავითარი ულუფა არ მიულიათ არის საბჭოთა სასადილო, მაგრამ წესიერად ვერ მუშაობს.

აგვისტო-სექტემბრამდე, მაზრის რევკომმა და აგრეთვე რაიონებმაც წარმოადგინეს თითო მოხსენება მაისის შემდეგ ხანის მოღვაწეობის შესახებ. ივნის-ივლისის მოხსენებები რევკომმა დროზე წარმოადგინა კომისარიატში, მაგრამ მათი განხილვა არაფერს ახალს არ მატებს იმას, რაც უკვე იყო ზევით მოყვანილი. მხოლოდ ზოგიერთ ინტერესს შეიცავს მაზრის რევკომის მოხსენება სექტემბერ-ოქტომბრის თვეებიდან, რისი განხილვასაც მაზრის საერთო მაშტაბის მიხედვით, ჩვენ ახლა შეუდგებით. ჯერ საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ მაზრის რევკომის მთლიან მოხსენებაზე და შემდეგ გადავალთ მაზრის რევკომის განყოფილების მოქმედების დეტალიზაციაზე.

როგორც სჩანს მაზრევკომის გასული წლის სექტემბრის მოხსენებიდან, მაზრის უმთავრეს საარსებო საგანს დიდი ხიფათი მოელის. მთელ მაზრაში შესაკეთებელი გამხდარა და არსებითადაც, სარწყავი არხები, რომლის წყალობითაც ბორჩალოს მაზრა თავისი მოსავალით, პირველ რიგებში იდგა ხოლმე ყოველთვის. გარდა არსებულის შეკეთებისა, მაზრის რევკომს აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია სარწყავი არხების ქსელის გადიდება. ასეთი საშუალებით, მეტი სივრცის მიწა გახდება დასამუშავებელი, რასაც აუცილებლობა უკარნახებს მთელ მაზრას. ესეც რომ არ იყოს ბორჩალოს მაზრის მნიშვნელობა, მარტო იმით როდი განისაზღვრება, რომ ბორჩალოს ჰკვებავს ხოლმე. ამ მაზრას სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც თავისი ეკონომიური მდგომარეობით, ისე პოლიტიკურადაც. ზედა ბორჩალოში ძალიან გავრცელებულია მესაქონლეობა და მეურნეობის ეს დარგი აქ შეადგენს ერთადერთ წყაროს არსებობისას, ზედა ბორჩალოს ყველის ქარხნებს, დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი სახელმწიფოსათვის და მას დიდი ყურადღებაც უნდა მიექცეს, რადგან ამ უკანასკნელ ხანებში ამ დარგის წარმოებას დაქვეითება დაეტყო.

დამოკიდებულება ახალ მთავრობასთან, ლოიალურია. დიდის მოუთმენლობით მოელიან მიწის რეფორმის გატარებას, რადგან მცხოვრებთა 70—80% უმიწაწყლო გლეხებისაგან შესდგება. ცენტრის ყველა დადგენილება პოულობს მცხოვრებლებში თანაგრძნობას, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მომზადებული და მცოდნე პირების უყოლობის გამო, მცხოვრებთა ინფორმაცია ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. წერაკითხვის სუსტად ცოდნა და ხანდახან კი სრულიად უცოდინრობა, ხელს უშლის მიწის კომიტეტს დაჩქარებით გაატაროს აგრარული რეფორმა, მუშაობა კი ამ მხრივ დაწყებულია.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მთელი მაზრის ხელისუფლების ორგანოები, ისე ამ ორგანოებთან არსებული განყოფილებები და ქვეგანყოფილებები, ძალიან ცუდ პირობებში არიან ჩაყენებულნი, რადგან მათ განკარგულებაში არაა ტექნიკურად მომზადებული თანამშრომელთა საკმაო რიცხვი. ადგილობრივ ისინი არ მოიპოვებიან და მოწოდებითაც არ იქნა მათი საკმაო რაოდენობის მივლენა. ამის გამო, მაგალითად შინაგან მართველობის განყოფილებაში მთელ ინტენსიურ და პასუხსაგებ მუშაობას აწარმოებს მხოლოდ 5 კაცი (20—21 მაგიერ), რომლებიც ყოველ დღეურად საშუალოდ 10 საათს მუშაობენ. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ მიმოსვლის საშუალება, თითქმის არ მოეპოვება მაზრის რევკომს და ეს კი ხშირად უშლის ხოლმე ხელს, უმაღლესი მთავრობის, ან თვით მაზრის რევკომის განკარგულების დროზე შესრულებას. რომ მაზრაში მუშაობა სათანადო სიმაღლეზე იქნეს დაყენებული და გამოიღოს სასურველი ნაყოფი, ამისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, დაუყოვნებლივ იქნეს გატარებული ცხოვრებაში შემდეგი ზომები: 1) თავას დროზე უნდა იქნეს მიწოდებული ფული მაზრის ყველა დაწესებულებისათვის. 2) რეგულიარულად უნდა ეგზავნებოდეს დაწესებულებას ქადალდი, კარანდაში და სერთოდ საკანცელარიო ნივთები, რომლითაც მაზრა ძალიან ღარიბია; 3) უნდა მივლენილი იქნეს მაზრაში პარტიული და უპარტიო მუშაკნი, ისეთები, რომლებიც გაცნობილნი არიან საკანცელარიო მუშაობას. 4) მივლენილ უნდა იქნენ მაზრაში სხვადასხვა სპეციალისტები, როგორც მაგალითად: ტექნიკოსები, ინჟინერები, ექიმები, იურისტები, მასწავლებლები, სტატისტიკოსები და სხ. 5) უზრუნველყოფილი იქნენ მაზრაში მომუშავე საბჭოთა ორგანოების თანამშრომელნი სურსათ-სანოვაგით და ტან-საცმელით. 6) მაზრის რევკომს უნდა ექნეს საჭირო საშუალება მიმოსვლისათვის: ავტომობილი, ეკიპაჟი და ცხენები. 7) გაუმჯობესებულ იქნეს გზები და საკავშირო საშუალება (ტელეფონი-ტელეგრაფი) ქ. თფილისსა და საერთოდ მთელ მაზრაში. 8) უნდა იქნეს განსაზღვრული მაზრის რევკომის, მაზრის კომპარტიისა, პარტიის მოლვაწეთა და სხ. ორგანოების ფუნქციები, რომ ხელის შეშლას ადმინისტრატიული ხასიათის ზომების მიღების დროს ადგილი არ ჰქონდეს. 9) რეგულიარული ინფორმაცია. 10) მოწყობა სატრანსპორტო განყოფილების და მისი საჭირო მასალით მომარაგება. 11) გადახალისება ადგილობრივი რევკომების შემადგენლობისა და 12) მოწყობა მაზრის სტატისტიკური აპარატისა.

რაც შეეხება მაზრის რევკომთან არსებული სხვადასხვა განყოფილებების და ქვეგანყოფილებების მუშაობას, ამისი გათვალისწინება ჩვენ შეგვიძლია თვით მაზრის რევკომისადმი წარდგენილი მოხსენებიდან.

ბორჩალოს მაზრის **მიწის განყოფილების** მუშაობა შემდეგში გამოიხატა: მიწათმფლობელობის სივრცის გამოსარკვეველად დაწყებული ანკეტა კომიტეტმა 1 ოქტომბრისათვის დაასრულა. ბორჩალოს

მაზრის მთიან ადგილებში და ახლა მუშაობას განაგრძობს დაბლობებში. მცხოვრებთა საიალაღოდან დაბრუნების შემდეგ: დაარსა თანახმად დეკრეტი № 62, სათანადო კომისია. მიწის კომიტეტების მუშაობა მაზრის მაშტაბით ვერ მიდიოდა სათანადო სისწრაფით. ხალხის ნაკლებულობამ ძალიან შებორკა კომიტეტის მუშაობა. ამის გამო მცხოვრებნი გულგრილად ეკიდებიან კომიტეტის მოღვაწეობას. რაც შეეხება თვით მაზრის მიწის განყოფილების კოლეგიის მოღვაწეობას და კანცელარიას, უნდა აღინიშნოს, რომ კანცელარია დღემდე ვერ მოგვარებულა სათანადო შტატის უყოლობის გამო. კოლეგიაც არაა სრული. მთელი სამუშაო დააწვა მხოლოდ ორ თანამშრომელს. რომ მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს და ნაყოფიერი იყოს იგი, აუცილებლად საჭიროა: 1) კოლეგიის შემადგენლობა შეივსოს და კანცელარია უზრუნველიყოს თანამშრომლებით, 2) მიგზავნილ იქნეს ყოველი კომიტეტთან ერთი პარტიული მუშაკი, 3) დაევალოს ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს აღმოუჩინონ დახმარება და თითონ არ ჩაერიონ იმ საქმეში, რომელიც გადასაწყვეტათ ეკუთვნის მიწის კომისიებს, 4) შევსებულ იქნეს შტატი ტეხნიკებისა ორი მიწის მზომელით, 5) უზრუნველ იქნეს თანამშრომელი პურის ულუფით და საერთოთ სურსათ-სანოვაგით.

სასურსათო კომიტეტის ანგარიში შემდეგ სურათს იძლევა: განყოფილება აწარმოებდა სტატისტიკური ცნობების მოგროვებას დათესილი მიწის, საქონლის და სხვა სამეურნეო დარგის შესახებ. ნატურალური გადასახადის გადამხდელთა სიის შედგენის ტახნიკური მხარე მიენდო თვის რევკომებს. სამაზრო კომიტეტმა თვისი წარმომადგენლები და რამდენიმე აგენტები დანიშნა ყველა თემის რევკომთან გადასახადის მოსაკრებად მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. სიების შედგენა დასრულდა 15 ოქტომბერს და მათი შესწორება დაიწყო. როგორც პარტიულმა ისე სხვა ორგანიზაციებმა მთელ თვისი საუკეთესო თანამშრომელი მიიტანეს გადასახადის მოსაკრებად. მუშაობას აძნელებს ბევრი რამ, განსაკუთრებით მიმოსვლის უქონლობა და მოსახლეობათა სიჭრელე. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ პროვოკაციული ხმების გავრცელების გამო, მცხოვრებნი მალავენ ჭირნახულს, საქონლის რაოდენობას და ამრავლებენ მჭამელთა რიცხვს. აღძრულია შუამდგომლობა სახალხო სასურსათო კომისარიატის წინაშე, რათა ნება მიეცეს კომისიას პირდაპირ ჭირნახულის დაბეგვრით მოხდეს გადასახადის მოკრეფა. პროფესიონალური კავშირის დახმარებით მოგროვილი იქნება ნატურალური გადასახადი.

რაც შეეხება სასურსათო საკითხს, მან ძალიან მწვავე სახე მიიღო. იყო დრო, როცა მაზრის სასურსათო კომიტეტს სასადილოსათვისაც კი არ ჰქონდა სურსათი. მოსამსახურეთა კმაყოფაც საშინელ მდგომარეობაში იყო და მიღებულ იქნა ზომები ამ საკითხის გამოსარკვევად.

ყველა წისქვილი მაზრაში დაბეგრულია თანახმად მთავრობის დადგენილებისა.

(შემდეგი იქნება).



ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

1) დეკრეტი № 86 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუც. კომიტეტისა შრომის სასუიდლის ახალი ნორმის შესახებ. გვ. 2—3.

2) „ № 90 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუც. კომიტეტისა შრომისა და ტვირთ-ზიდვის ბეგარის ხარკის საფუძველზე განხორციელების შესახებ.

3) დადგენილება № 120 საქ. სოც. საბჭ. რევ. კომიტეტისა დეპოზიტების შესახებ.

4) „ № 121 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა შრომის უნარის მქონე მცხოვრებთა სასწრაფო ადნუსხვის შესახებ.

5) » 122 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა საერაიონო რევოლიუც. კომიტეტების გაუქმების შესახებ.

6) „ № 123 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა საადმშენებლო სამუშაოთა წარმოების წესის შესახებ.

7) » № 124 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა საქართველოსა, აზერბეიჯანისა, და სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების შორის—საგარეო ვაჭრობის გაერთიანების შესახებ. 1920 წლ. ივნისის 2-სა და დეკემბრის 8-ს დადებული შეთანხმების განსაზღვრებლად.

8) » № 125 საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლ. კომიტეტისა სახალხო სასამართლოს დებულების დამატებისა, მოწმეთა გამოუცხადებლობისათვის დაჯარიმების შესახებ.

9) » № 126 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა სახალხო სასამართლოს დამატებისა—კანონიერი ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ.

10) ცირკულიარულად მილიციის მთავარ სამმართველოს

არაოფიციალური განყოფილება

11) საქართველოს რევოლიუციონური ტრიბუნალი და მისი ფუნქციები გვ, 9—13.

12) ლენინის მოხსენება სრულიად რუსეთის საბჭოთა მე IX-ე ყრილობაზე გვ, 13—19.

13) მეურნეობის აღორძინებასთან დაკავშირებული პარტიის მორიგი საკითხები გვ. 19—22.

14) ადმინისტრატიულ ერთეულებთა განეოფილებაში გვ. 22—24.

15) საქართველ. საქალაქო აღწერის შესახებ. გვ. 24—26

16) ლტოლვილთა ევაკუაციის საკითხი. გვ. 26—27

17) ბორნეოს მაზრაში. გვ. 27—31.

განცხადება

ქ. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქობრივი მდგომარეობის ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს, რომ თანახმად ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის № 28 დეკრეტისა მოქ. დავით სპირიდონის ძე მზარეულიშვილმა შემოიტანა განცხადება გვარის **მზარეულიშვილის—ხომასურიძეზედ შეცვლის შესახებ.**

(№ 1—1.)

ნ. დ. ს. ტ. ტფილისი. სახელმწიფო სტამბა—ტირაჟი 3000